ავტომატური მართვის სისტემის წრფივი მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრა ინტეგრალური კვადრატული კრიტერიუმის მიხედვით

ზადრი გვასალია მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავა 68^ბ
E-mail: b.gvasalia@gtu.ge

რეცენზენტები:

ნ. ლომინაძე, სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: n.lominadze@gtu.ge

მ. კუბლაშვილი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: m.kublashvili@gtu.ge

ანოტაცია. ავტომატური მართვის სისტემის (ამს) დაპროექტებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრას, რომელიმე კრიტერიუმის მიხედვით.

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვხვდება პუბლიკაციები ავტომატური მართვის სისტემის სინთეზის ამოცანების გადასაწყვეტად არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების მეთოდის გამოყენების შესახებ [1,2].

სტატიაში განხილულია მარტივი და რთული ავტომატური მართვის სისტემების წრფივი მაკორექტირებელი მოწყობილობების პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების გაანგარიშების შესაძლებლობები.

გამოყოფილია ავტომატური მართვის სისტემის კლასი, რომელთა მიზნის ფუნქციას აქვს ერთი ექსტ-

რემუმი. დამტკიცებულია შესაბამისი თეორემები. გამოყვანილია მაკორექტირებელი მოწყობილობის ოპტიმალური პარამეტრის საანგარიშო ფორმულა.

რთული მიზნის ფუნქციის შემთხვევაში მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების გაანგარიშების ამოცანა წარმოდგენილია როგორც არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების ამოცანა, ხოლო მიზნის ფუნქციის გლობალური ექსტრემუმის მოსაძიებლად გამოყენებულია შემთხვევითი ძებნის მეთოდი.

სინთეზის საბოლოო ეტაპზე აგებულია მიღებული პარამეტრების შესაბამისი გარდამავალი პროცესების გრაფიკები. მეთოდი ადვილად განხორციელებადია Visual Basic for Application პროგრამების გამოყენებით, რომელიც იძლევა ყველა საჭირო რიცხვითი შედეგის მიღების და შესაბამისი ნახაზების ადვილად წარმოდგენის შესაძლებლობას.

საკვანძო სიტყვები: ავტომატური მართვის სისტემა; ინტეგრალური კვადრატული კრიტერიუმი; ოპტიმალური გარდამავალი პროცესი; წრფივი მაკორექტირებელი მოწყობილობა.

შესავალი

სტატიაში ნაჩვენებია, რომ მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების განსაზღვრის ამოცანა შეიძლება დაყვანილ იქნეს არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების ამოცანაზე.

ცნობილია, რომ ამს პრაქტიკული ვარგისობისათვის გარდა მდგრადობისა აუცილებელია, რომ ის აკმაყოფილებდეს ზოგიერთ შეზღუდვას, მაგალითად, შეზღუდვებს გადარეგულირების σ სიდიდეზე, რეგულირების t დროზე, სიზუსტეზე, რომელიც მიიღწევა გაძლიერების k კოეფიციენტის სათანადო შერჩევით და სხვა.

ზემოთ აღნიშნული მოთხოვნები განაპირობებს მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ცვლილებას განსაზღვრულ საზღვრებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრებს აქვს შეზღუდვები, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე და რომელიც დამოკიდებულია აგრეთვე მაკორექტირებელი მოწყობილობის სტრუქტურასა და რიგზე.

ძირითადი ნაწილი

ამოცანის დასმა და კრიტერიუმის შერჩევა

კრიტერიუმების შერჩევა უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, იმაზე დამოკიდებულებით, რეგულირების ხარისხის რომელი მაჩვენებელი არის მნიშვნელოვანი მოცემულ მომენტში.

ზოგად შემთხვევაში ხარისხის მაჩვენებელი შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

$$I_0 = I_0(x_1, x_2, \dots, x_n), \quad (1)$$

სადაც x_1, x_2, \dots, x_n , მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრებია.

მაშასადამე, ოპტიმიზაციის ამოცანაა I_0 მიზნის ფუნქციის მინიმალური (ან მაქსიმალური) მნიშვნელობის პოვნა შემდეგი შეზღუდვების დროს

$$g_i(x_1, x_2, \dots, x_n) \geq 0, \quad i = 1, 2, \dots, I_g, \quad (2)$$

და

$$h_i(x_1, x_2, \dots, x_n) = 0, \quad i = 1, 2, \dots, I_h, \quad (3)$$

ეს უკანასკნელი ფორმულირება განსაზღვრავს არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების ამოცანას. ოპტიმიზაციის კრიტერიუმის განსაზღვრისას მიზანშეწონილია კომბინირებული კრიტერიუმების შერჩევა, რომელიც იძლევა განზოგადებული თვისებების შეფასების შესაძლებლობას და იმავდროულად ითვალისწინებს სწრაფქმედებას, სიზუსტეს, მაქსიმალურ გადახრას ერთობლიობაში, მათი მნიშვნელობების ცალ-ცალკე გამოთვლის გარეშე.

ასეთ შემთხვევებში ხშირად გამოიყენება ინტეგრალური კრიტერიუმები. განვიხილოთ მაგალითად, ფუნქცია

$$I_0 = \int_0^{\infty} y^2(t) dt. \quad (4)$$

$y(t)$ ფუნქცია ახასიათებს გარდამავალი პროცესის მიმდინარეობას და განისაზღვრება ფორმულით: $y(t) = h_{st} - h(t)$, სადაც h_{st} მისი დამყარებული მნიშვნელობაა.

ინტეგრალი (4) ყველაზე მარტივად გამოითვლება რელეის [3] თეორემის საფუძველზე, რომლიდანაც გამომდინარეობს, რომ

$$I_0 = \int_0^{\infty} y^2(t) dt = \frac{1}{\pi} \int_0^{\infty} |Y_{m,n}(j\omega)|^2 d\omega, \quad (5)$$

სადაც $Y_{m,n}(j\omega)$ შეკრული სისტემის გამოსავალზე გარდამავალი შემადგენლის ამპლიტუდური სპექტრია.

იმ შემთხვევაში, როდესაც $Y_{m,n}(p)$ წილადრაციონალური ფუნქციაა:

$$Y_{m,n}(p) = \frac{B(p)}{C(p)} = \frac{b_m p^m + b_{m-1} p^{m-1} + \dots + b_1 p + b_0}{c_n p^n + c_{n-1} p^{n-1} + \dots + c_1 p + c_0}. \quad (6)$$

ფორმულა (6) შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$I_0 = \frac{1}{\pi} \int_0^{\infty} \frac{B(j\omega) \cdot B(-j\omega)}{C(j\omega) \cdot C(-j\omega)} d\omega. \quad (7)$$

ინტეგრალი (7) (როგორც b_i და c_i კოეფიციენტების ფუნქცია) პირველად გამოთვალა მაკ-ლენმა, როდესაც $m \leq n-1$ და $n=1-7$. ამჟამად არსებობს ცხრილები [4] ამ ინტეგრალების გამოსათვლელად, როდესაც n იცვლება 1-დან 10-მდე, რაც მთლიანად აკმაყოფილებს პრაქტიკის მოთხოვნებს.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებს, შეიძლება განვსაზღვროთ გადასაწყვეტი ამოცანების კლასი:

1) ფუნქცია $Y_{m,n}(p)$ უნდა იყოს წილად-რაციონალური ფუნქცია;

2) $Y_{m,n}(p)$ ფუნქციის მრიცხველის რიგს m -სა და მნიშვნელის რიგს n -ს შორის უნდა იყოს შემდეგი დამოკიდებულება $m \leq n-1$;

3) $Y_{m,n}(p)$ ფუნქციის მნიშვნელის რიგი უნდა აკმაყოფილებდეს პირობას $n \leq 10$.

ვინაიდან განიხილება მდგრადი სისტემის გარდამავალი ფუნქცია, $Y_{m,n}(p)$ -სათვის გვაქვს შემდეგი დამოკიდებულება [3]:

$$Y_{m,n}(p) = \frac{W_{cl}(o) - W_{cl}(p)}{p}, \quad (8)$$

სადაც $W_{cl}(p)$ არის შეკრული სისტემის გადაცემის ფუნქცია.

მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების შეზღუდვათა რიცხვითი მნიშვნელობები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განისაზღვრება ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში და განპირობებულია მაკორექტირებელი მოწყობილობის სტრუქტურით, რიგით და ასევე სხვა ტექნიკური მოსაზრებებით. შესაძლებელია აგრეთვე სინთეზის ცნობილი ლოგარითმული მეთოდის გამოყენება მოწყობილობის სტრუქტურისა და პარამეტრების პირველი მიახლოებითი მნიშვნელობების დასადგენად.

მაკორექტირებელი მოწყობილობის ოპტიმალური პარამეტრების პოვნა ნიშნავს მიზნის ფუნქციის – I_0 -ის მინიმალური ან მაქსიმალური მნიშვნელობის პოვნას და, ამავე დროს, პარამეტრების იმ მნიშვნელობების პოვნასაც, რომელთა დროსაც ამას აქვს ადგილი.

მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების პოვნა საგრძნობლად ადვილდება თუ ცნობილია, რომ სისტემის მიზნის ფუნქციას აქვს ერთი ექსტრემუმი. ამდენად, ასეთი კლასის სისტემის გამოყოფა არის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა. ქვემოთ მოყვანილი თეორემები იძლევა აღნიშნული საკითხის გარკვეულწილად გადაწყვეტის შესაძლებლობას.

ერთეკტრემუმიანი მიზნის ფუნქციის მქონე ავტომატური მართვის სისტემები

განვიხილოთ ერთკონტურიანი ავტომატური მართვის სისტემა სურ. 1, რომელიც შედგება მიმდევრობით შეერთებული მაინტეგრირებელ-მადიფერენცირებელი მაკორექტირებელი $W_c(p)$ რგოლისაგან და $W_{ob}(p)$ ობიექტისაგან, რომელთა გადაცემის ფუნქციებს შესაბამისად აქვთ შემდეგი სახე:

$$W_c(p) = \frac{\tau p + 1}{\alpha \tau p + 1}, \quad (9)$$

და


$$W_{ob}(p) = \frac{k}{p(Tp + 1)}, \quad (10)$$

სადაც k არის ობიექტის გამლიერების კოეფიციენტი, T – დროის მუდმივა.

$g(t)$ – შესავალი და $y(t)$ – გამოსავალი სიდიდეები შესაბამისად.

τ – მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრი.

ოპტიმალურობის კრიტერიუმად მდგრადი სისტემებისათვის არჩეულია (5) ფუნქცია.



სურ. 1.

თეორემა 1. ავტომატური მართვის სისტემის, (რომელიც შედგება მიმდევრობით შეერთებული მაკორექტირებელი მოწყობილობისა (9) და ობიექტისაგან (10), სადაც $0 < \alpha < 1$ და $kT(1+kT) + \alpha(kT-1) > 0$ მიზნის ფუნქციას (5) აქვს მხოლოდ

ერთი მინიმალური მნიშვნელობა τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტში ცვლილებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში მიზნის ფუნქცია იქნება მონოტონურად კლებადი.

დამტკიცება. თეორემის დამტკიცება მოითხოვს მიზნის ფუნქციის ანალიზური სახის ცოდნას, რომლის დასადგენად ვიქცევით შემდეგნაირად: დავწერთ შეკრული სისტემის გადაცემის ფუნქციას, მას აქვს სახე:

$$W_{cl}(p) = \frac{k(\tau p + 1)}{\alpha T \tau p^3 + (T + \alpha \tau)p^2 + (1 + k\tau)p + k} \quad (11)$$

იმ შემთხვევაში, როდესაც $0 < \alpha < 1$, ამს, რომელიც აღიწერება (11) ფორმულით მისი მდგრადობის პირობა, გურვიცის კრიტერიუმის თანახმად, მახასიათებელი განტოლების დადებითი კოეფიციენტების შემთხვევაში, ყოველთვის სრულდება თუ დაცულია ქვემოთ მოყვანილი პირობა:

$$(T + \alpha \tau)(1 + k\tau) > \alpha k \tau T \quad (12)$$

შესაბამისად, $W_{cl}(0) = 1$ (8) ფორმულაში ჩავსვათ (11) გამოსახულება და გავითვალისწინოთ, რომ $W_{cl}(0) = 1$ მივიღებთ:

$$Y_{m,n}(p) = \frac{\alpha T \tau p^2 + (T + \alpha \tau)p + 1}{\alpha T \tau p^3 + (T + \alpha \tau)p^2 + (1 + k\tau)p + k} \quad (13)$$

თუ გამოვიყენებთ ფორმულებს, რომელიც მოცემულია [4], მაშინ შეიძლება დავწეროთ მიზნის ფუნქციის ანალიზური სახე:

$$I_0 = \frac{(\alpha T k^2 + k \alpha^2) \tau^2 + (\alpha T k + \alpha) + k T^2 + T}{2 k^2 \alpha \tau^2 + 2(k \alpha + k^2 T - k^2 \alpha T) \tau + 2 k T} \quad (14)$$

ჩავატაროთ (14) ფუნქციის გამოკვლევა ექსტრემუმზე. ამისათვის საჭიროა დავადგინოთ განსაზღვრულია თუ არა (14) ფუნქცია τ პარამეტრის $[0, \infty)$ ფარგლებში ცვლილებისას (აქ იგულისხმება, რომ ობიექტის პარამეტრები ღებულობს ნებისმიერ,

მაგრამ ფიქსირებულ მნიშვნელობას, ხოლო ცვლადი არის τ პარამეტრი).

ამისათვის (14) გამოსახულების მნიშვნელი გავუტოლოთ ნულს და ამოვხსნათ განტოლება:

$$k^2\alpha\tau^2 + k(\alpha + kT - kT\alpha)\tau + kT = 0. \quad (15)$$

ამ განტოლების ფესვები, რადგანაც ყველა კოეფიციენტი დადებითია, იქნება უარყოფითი, იმის გამო, რომ განიხილება შემთხვევა, როცა $0 < \alpha < 1$.

ამრიგად, (14) გამოსახულების მნიშვნელი τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტში ცვლილებისას არსად არ ღებულობს ნულოვან მნიშვნელობას. იმავე დროულად ის უწყვეტია ამავე ნახევარსეგმენტზეც.

ვიპოვოთ I_0 ფუნქციის სტაციონარული წერტილები. ამისათვის საჭიროა ვიპოვოთ ფუნქციის პირველი წარმოებული და ამოვხსნათ I_0' განტოლება. გვექნება, რომ

$$I_0' = \frac{2k^2(1-\alpha)[kT(1+kT) + \alpha(kT-1)]\tau^2 - 4k^2\alpha T(1-\alpha)\tau - 2k^2T^2(1+kT)(1-\alpha)}{[2k^2\alpha\tau^2 + 2k(\alpha + kT - kT\alpha)\tau + 2kT]^2}. \quad (16)$$

ეს უკანასკნელი გამოსახულება იქნება ნულის ტოლი, როცა მრიცხველი იქნება ნულის ტოლი, ამიტომ შეგვიძლია დავწეროთ:

$$[kT(kT+1) + \alpha(kT-1)]\tau^2 - 2T\alpha\tau - T^2(1+kT) = 0. \quad (17)$$

$$\text{თუ კოეფიციენტი } kT(kT+1) + \alpha(kT-1) > 0, \quad (18)$$

მაშინ (17) განტოლების ამოხსნას ექნება სახე:

$$\tau_{1,2} = \frac{T(\alpha \pm \sqrt{\alpha^2 + (kT+1)[kT(kT+1) + \alpha(kT-1)]})}{kT(kT+1) + \alpha(kT-1)} \quad (19)$$

ამ უკანასკნელი გამოსახულებიდან ჩანს, რომ ერთი ფესვი არის დადებითი, ხოლო მეორე – უარყოფითი.

ამრიგად, თუ კმაყოფილდება (18) პირობა, მაშინ I_0 ფუნქციას აქვს მხოლოდ ერთი სტაციონარული წერტილი τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტში ცვლილებისას. გამოვიკვლიოთ ახლა, მინიმალურ თუ მაქსიმალურ მნიშვნელობას ღებულობს ფუნქცია სტაციონარულ წერტილში. ამისათვის საჭიროა დავადგინოთ პირველი წარმოებულის ნიშანი სტაციონარულ წერტილამდე და მის შემდეგ. წარმოებულის გამოსახულებიდან ჩანს, რომ $I_0' < 0$, ხოლო

$I_0'(\infty) = 0$. გარდა ამისა, იმის გამო, რომ (16) გამოსახულების მნიშვნელი ყოველთვის დადებითია, ამიტომ პირველი წარმოებულის ნიშანი მთლიანად დამოკიდებულია მრიცხველის ნიშანზე.

თავისთავად

$$[kT(kT+1) + \alpha(kT-1)]\tau^2 - 2T\alpha\tau - T^2(1+kT)$$

მრიცხველი არის პარაბოლა, რომლის წვერო

$$O_2 \left\{ \frac{\alpha T}{kT(1+kT) + \alpha(kT-1)}, -2k^2T^2(1-\alpha) \left[kT + \frac{\alpha^2}{kT(1+kT) + \alpha(kT-1)} \right] \right\}$$

მდებარეობს მეოთხე კვადრანტში. ეს პარაბოლა გადაკვეთს აბცისთა დადებით ღერძს მხოლოდ ერთ წერტილში, რომელიც შეესაბამება სტაციონარული წერტილის აბსცისას.

ამრიგად, პარაბოლის შტოები განთავსებულია τ პარამეტრის ცვლილებისას სტაციონარულ წერტილამდე აბცისთა ღერძის დაბლა, ხოლო სტაციონარული წერტილის შემდეგ – ამ ღერძის მაღლა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სტაციონარულ

წერტილამდე (16) გამოსახულების მრიცხველი არის უარყოფითი, ხოლო მას შემდეგ – დადებითი. ამრიგად, სტაციონარულ წერტილზე გადასვლისას პირველი წარმოებულის ნიშანი იცვლება უარყოფითი მნიშვნელობიდან დადებითისკენ და, შესაბამისად, მიზნის ფუნქციას აქვს მინიმუმი. რაც დამადასტურებელია იმისა, რომ სრულდება მინიმუმის არსებობის საკმარისი პირობა.

თუ არ სრულდება (18) პირობა, ე.ი.

$$kT(kT + 1) + \alpha(kT - 1) \leq 0, \quad (20)$$

მაშინ უკანასკნელის ნიშნის გათვალისწინებით (16) გამოსახულებაში, მივიღებთ $I'_0(\tau) < 0$, τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტზე ცვლილებისას. არ არის ძნელი დავადგინოთ, $I_0(0) = \frac{T}{2} + \frac{1}{2k}$ და $I_0(\infty) = \frac{1}{2} + \frac{\alpha}{2k}$. იმის გამო, რომ $0 < \alpha < 1$, მაშინ $I_0(0) > I_0(\infty)$. შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი, რომ თუ

$$I'_0 = \frac{-2k^2(\alpha - 1)[kT(1 + kT) + \alpha(kT - 1)]\tau^2 + 4k^2\alpha T(\alpha - 1)\tau + 2k^2T^2(1 + kT)(\alpha - 1)}{[2k^2\alpha\tau^2 + 2k(\alpha + kT - kT - kT\alpha)]^2}. \quad (21)$$

ვთქვათ, სრულდება (18) პირობა, მაშინ ქვემოთ მოყვანილი განტოლების ამოხსნისას

$$- [kT(1 + kT) + \alpha(kT - 1)]\tau^2 + 2\alpha\tau T + T^2(1 + kT) = 0, \quad (22)$$

მიიღება ნამდვილი ფესვები, რომლებსაც აქვთ სხვადასხვა ნიშანი. შესაბამისად გვექნება ერთი სტაციონარული წერტილი, τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტში ცვლილებისას. იმ შემთხვევაში, როდესაც $kT(1 + kT) + \alpha(kT - 1) \leq 0$, მაშინ (22) განტოლების ყველა კოეფიციენტი იქნება დადებითი და,

არ სრულდება (18) პირობა, მაშინ $I'_0(\tau) < 0$, τ პარამეტრის $[0, \infty)$ მონაკვეთზე ცვლილებისას და მაშინ მიზნის ფუნქცია იქნება მკაცრად კლებადი. ამრიგად, თეორემა 1 დამტკიცებულია.

თეორემა 2. ავტომატური მართვის სისტემის, რომელიც შედგება მაკორექტირებელი მოწყობილობისა (9) და ობიექტისაგან (10), სადაც $\alpha > 1$ და $\alpha + kT - kT\alpha \geq 0$, τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტში ცვლილებისას, მიზნის ფუნქციას აქვს ერთადერთი მაქსიმალური მნიშვნელობა. მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სრულდება პირობა $kT(1 + kT) + \alpha(kT - 1) > 0$.

დამტკიცება. ცხადია, რომ თუ $\alpha > 1$ და $\alpha + kT - kT\alpha \geq 0$ τ პარამეტრის $[0, \infty)$ ნახევარსეგმენტში ცვლილებისას სრულდება სისტემის მდგრადობის (12) პირობა და განსაზღვრულია (14) ფუნქცია. I'_0 -ისათვის გვაქვს:

შესაბამისად, ფესვები იქნება ან უარყოფითები, ან კომპლექსურები.

ახლა განვსაზღვროთ, მაქსიმალურ თუ მინიმალურ მნიშვნელობას ღებულობს ფუნქცია სტაციონარულ წერტილში. (21) განტოლებიდან ცხადია, რომ $I'_0(0) > 0$ და $I'_0(\infty) = 0$. ამ შემთხვევაში წინა შემთხვევის ანალოგიურად, (21) გამოსახულების მრიცხველი არის პარაბოლა, რომლის წვერო მდებარეობს პირველ კვადრანტში:

$$O_2 \left\{ \frac{\alpha T}{kT(1+kT) + \alpha(kT-1)}, 2k^2 T^2 (\alpha - 1) \left[1 + kT + \frac{\alpha^2}{kT(1+kT) + \alpha(kT-1)} \right] \right\},$$

და გადაკვეთს აბცისთა ღერძს ერთ წერტილში. ამრიგად, გვაქვს, რომ სტაციონარულ წერტილამდე $I'_0(\tau) > 0$, ხოლო მის შემდეგ $I'_0(\tau) < 0$, ე.ი. სტაციონარულ წერტილში ფუნქცია ღებულობს მაქსიმალურ მნიშვნელობას. რაც უნდა დაგვემტკიცებინა.

პარამეტრის საბოლოო მნიშვნელობა, რომლის დროსაც მიზნის ფუნქცია ღებულობს ექსტრემალურ მნიშვნელობას, ორივე განხილულ შემთხვევაში, გამოითვლება ფორმულით:

$$\tau_{1,2} = \frac{T \left\{ \alpha + \sqrt{\alpha^2 + (kT+1)[KT(kT+1) + \alpha(kT-1)]} \right\}}{kT(kT+1) + \alpha(kT-1)}. \quad (23)$$

ამრიგად, მოყვანილი თეორემები შესაძლებლობას იძლევა დავადგინოთ მიზნის ფუნქციის ერთ-ექსტრემუმიანობა გარკვეული კლასის სისტემებისათვის, რომლებიც შედგება ობიექტისა და მაკორექტირებელი მოწყობილობისაგან.

ანალოგიური თეორემების დამტკიცება ამს, რომლებიც შეიცავენ უფრო მაღალი რიგის მაკორექტირებელ მოწყობილობებს და ობიექტებს, არის ძალიან ძნელი ან ზოგად შემთხვევაში შეუძლებელიც. ამიტომ ასეთ შემთხვევებში მიზანშეწონილია სხვა, კერძოდ არაწრფივი მათემატიკური მეთოდების გამოყენება, ხოლო რაც შეეხება მრავალი ცვლადის, მრავალექსტრემუმიანი და ზოგადად რთული კონფიგურაციის მქონე ფუნქციის გლობალური ექსტრემუმის მოძებნას, ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემთხვევითი ძებნის ან ψ - გარდასახვის მეთოდები, რადგანაც ჩვენი აზრით სწორედ ეს მეთოდები უზრუნველყოფს ყველაზე

ზუსტად და მარტივად ზემოთ აღნიშნული ხასიათის ფუნქციის გლობალური ექსტრემუმის და შესაბამისი პარამეტრების მოძებნას.

მრავალექსტრემუმიანი, მრავალპარამეტრიანი და ზოგადად რთული კონფიგურაციის მიზნის ფუნქციის მქონე ავტომატური მართვის სისტემები

ძალიან ხშირად პრაქტიკულ ამოცანებში მიზნის ფუნქციებს აქვს მულტიმოდალური სახე, ამიტომ მიზანშეწონილია მათი მინიმუმის მოსაძებნად გამოვიყენოთ გლობალური ანუ აბსოლუტური ექსტრემუმის ძებნის მეთოდები.

მოკლედ განვიხილოთ ექსტრემუმის პოვნის შემთხვევითი ძებნის მეთოდი [5], რომელსაც შემდეგში გამოვიყენებთ. შემთხვევითი ძებნის მეთოდი აბსოლუტური ექსტრემუმის მონახვის უმარტივესი მეთოდი, რომელიც ε სიზუსტით კრებადობას მხოლოდ $W \rightarrow \infty$ რაოდენობის სტატისტიკური ცდების საფუძველზე უზრუნველყოფს. აღნიშნული მეთოდით მრავალი ცვლადის ფუნქციის გლობალური ექსტრემუმის მოძებნა დიდი რაოდენობის ცდების ჩატარებას ითვალისწინებს, რაც გამოთვლითი ხასიათის მნიშვნელოვან შრომატევადობასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის შესაძლებლობის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ეს სიძნელებები აღმოფხვრილია.

მართლაც, ვთქვათ, ძებნის დასაშვები არე არის n -განზომილებიანი კუბი, რომლის მოცულობა ტოლია $V=1$, ხოლო ε მიდამოს მოცულობა ტოლია $V = \varepsilon^n$, მაშინ ε მიდამოში შემთხვევითი წერტილის

მოხვედრის ალბათობაა $p(N) = 1 - (1 - \varepsilon^n)^N$. მაშა-სადამე, სტატისტიკური ცდების ის რაოდენობა, რომლის საფუძველზე p ალბათობით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ε სიზუსტით მომეზნევილი ოპტი-მალური მნიშვნელობა ჭეშმარიტ მნიშვნელობას შეესაბამება, ტოლია

$$N = \left(\frac{1}{\varepsilon}\right) \cdot \ln[1/(1-p)].$$

მაგალითად, ორგანზომილებიანი ამოცანის შემ-თხვევაში ($n=2$), როცა $p=1/2$ და $\varepsilon = 10^{-3}$, საჭიროა არანაკლებ $N = (1/10^{-3})^2 \cdot \ln[1/(1-1/2)] = 10^6 \ln 2 = 0.69 \cdot 10^6$ სტატისტიკური ცდების ჩატარება.

ავტომატური მართვის სისტემის მაგალითის განხილვა

ვთქვათ, ამს შედგება მიმდევრობით (სურ. 1) შე-ერთებული მაკორექტირებელი $W_c(p)$ მოწყობილო-ბისა და $W_{ob}(p)$ ობიექტისაგან, შესაბამისად.

$$W_c(p) = \frac{(T_2p+1)(T_3p+1)}{(T_1p+1)(T_4p+1)}, \quad (24)$$

$$W_{ob}(p) = \frac{k}{p(T_{01}p+1)(T_{02}p+1)(T_{03}p+1)}, \quad (25)$$

სადაც T_i $i=1,2,3,4$, ხოლო T_{0j} $j=1,2,3$ და k არის მაკორექტირებელი მოწყობილობის და ობიექტის პა-რამეტრები

სამიბეული პარამეტრების ზღვრების დადგენი-სას შემთხვევით აღმოჩნდა, რომ $T_{01} = T_3$, ამიტომ გახსნილი სისტემის გადაცემის ფუნქციას აქვს სახე:

$$W_0(p) = W_c(p) \cdot W_{ob}(p) = \frac{k(T_2p+1)}{p(T_1p+1)(T_4p+1)(T_{02}p+1)(T_{03}p+1)}, \quad (26)$$

ხოლო შევრული სისტემის გადაცემის ფუნქციას აქვს სახე:

$$W_{cl}(P) = \frac{W_o(p)}{1+W_o(p)} = \frac{k(T_2p+1)}{p(T_1p+1)(T_4p+1)(T_{02}p+1)(T_{03}p+1)+k(T_2p+1)}. \quad (27)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ $W_{cl}(0) = 1$ და ჩავსვამთ (27) –ს ფორმულა (8)–ში, მაშინ მივიღებთ:

$$Y_{m,n}(p) = \frac{1}{p} \left[1 - \frac{k(T_2p+1)}{p(T_1p+1)(T_4p+1)(T_{02}p+1)(T_{03}p+1)+k(T_2p+1)} \right]^n = \frac{[T_1T_4p^2 + (T_1+T_4)p+1][T_{02}T_{03}p^2 + (T_{02}+T_{03})p+1]}{p\{T_1T_4p^2 + (T_1+T_4)p+1\}[T_{02}T_{03}p^2 + (T_{02}+T_{03})p+1] + kT_2p+k}. \quad (28)$$

(28) გამოსახულების გამარტივებისა და სათანა-დო აღნიშვნების შემოტანის შემდეგ გვექნება:

$$Y_{m,n}(p) = \frac{b_4p^4 + b_3p^3 + b_2p^2 + b_1p + b_0}{c_5p^5 + c_4p^4 + c_3p^3 + c_2p^2 + c_1p + c_0}, \quad (29)$$

სადაც

$$\begin{aligned} c_5 &= b_4 = T_1T_4T_{02}T_{03} \\ c_4 &= b_3 = T_1T_4T_{02} + T_1T_4T_{03} + T_1T_{02}T_{03} + T_4T_{02}T_{03} \\ c_3 &= b_2 = T_1T_4 + T_1T_{02} + T_1T_{03} + T_4T_{02} + T_4T_{03} + T_{02}T_{03} \\ c_2 &= b_1 = T_1 + T_4 + T_{02} + T_{03} \\ c_1 &= 1 + kT_2 \\ c_0 &= k \\ b_0 &= 1 \end{aligned} \quad (30)$$

ფუნქცია $Y_{m,n}(p)$, როგორც b_i და c_i კოეფიციენ-ტების ფუნქცია წარმოდგენილია ზემოთ. როგორც (29) გამოსახულებიდან ჩანს, ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში $n=5$ და $m=4$, ამიტომ მიზნის ფუნქციას ექნება სახე:

$$I_0 = \frac{1}{\Delta} [b_4^2m_0 + (b_3^2 + 2b_2b_4)m_1 + (b_2^2 - 2b_1b_3 + 2b_0b_4)m_2 + (b_1^2 - 2b_0b_2)m_3 + b_0^2m_4], \quad (31)$$

სადაც

$$\begin{aligned}
 m_1 &= -c_0 c_3 + c_1 c_2, \\
 m_0 &= \frac{1}{c_5} (c_3 m_1 - c_1 m_2), \\
 m_2 &= -c_0 c_5 + c_1 c_4, \\
 m_3 &= \frac{1}{c_0} (c_2 m_2 - c_4 m_1), \\
 m_4 &= \frac{1}{c_0} (c_2 m_3 - c_4 m_2), \\
 \Delta &= c_0 (c_1 m_4 - c_3 m_3 + c_5 m_4)
 \end{aligned} \tag{32}$$

თუ შემოვიღებთ ცვლადების შემდეგ აღნიშვნებს $\tau_1 = T_1$, $\tau_2 = T_2$, $\tau_3 = k$, $\tau_4 = T_4$ და გავითვალისწინებთ ობიექტის პარამეტრების შემდეგ მნიშვნელობებს, რომელიც ტოლია;

$$\begin{aligned}
 T_{02} &= 0.02 \text{ sec} \\
 T_{03} &= 0.01 \text{ sec}
 \end{aligned} \tag{33}$$

მაშინ ამოცანა შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად:

საჭიროა ვიპოვოთ $I_0(\tau_1, \tau_2, \tau_3, \tau_4)$ მიზნის ფუნქციის გლობალური მინიმუმი, სადაც I_0 განისაზღვრება (31,32,33) ფორმულებით და შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით:

$$\begin{aligned}
 2.27 &\leq \tau_1 \leq 10, \\
 0.125 &\leq \tau_2 \leq 0.5, \\
 200 &\leq \tau_3 \leq 225, \\
 0.02 &\leq \tau_4 \leq 0.03,
 \end{aligned} \tag{33, ა)$$

ამოცანის ამოხსნის ალგორითმი შეიძლება დაფუძნდეს მირითად ეტაპად და შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგნაირად:

1. მუშაობის დასაწყისშივე განისაზღვრება ყველა საწყისი მონაცემი. აქ იგულისხმება, არა მარტო ის მონაცემები, რომლებსაც ითვალისწინებს პროექტი, არამედ ისინიც, რომლებიც საჭიროა კომპიუტერული გამოთვლების ჩასატარებლად, მაგალითად, სტატისტიკური ცდების რაოდენობა S , შეზღუდვათა m და

ცვლადების n რაოდენობა. საწყის მომენტში მიზნის ფუნქციის მნიშვნელობის შესადარებელი თეორიულად შესაძლო დიდი რიცხვის სიდიდე - I_{min} .

2. სტატისტიკური ცდების ჩატარების პროცესის დაწყება, რომლის დროსაც შემთხვევითი რიცხვების გენერატორის მიერ გამომუშავდება რიცხვები, რომლებიც შემდეგ შესაბამისი ალგორითმის საშუალებით და შეზღუდვათა გათვალისწინებით ფორმირდება, როგორც საპროექტო პარამეტრების მნიშვნელობები.

3. წინასწარ მოცემული პირობის შესაბამისად მოწმდება ყველა შეზღუდვა. თუ შეზღუდვებზე დადებული ყველა პირობა ერთდროულად შესრულებულია, მაშინ მართვა გადაეცემა მომდევნო მე-4 ეტაპის შესრულებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მართვა გადაეცემა მე-2 ეტაპის შესრულებას და აირჩევა საპროექტო პარამეტრების ახალი მნიშვნელობები.

4. გამოითვლება მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა და შედარდება წინასწარ არჩეულ დიდ რიცხვს. თუ მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა ნაკლები იქნება ამ რიცხვზე, მაშინ ამ რიცხვს მიენიჭება მიზნის ფუნქციის მნიშვნელობა და შეინახება სათანადო პარამეტრებთან ერთად, რათა გამოყენებულ იქნეს შემდეგი გამოთვლებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართვა გადაეცემა მე-2 ეტაპის შესრულებას და გაგრძელდება ციკლური პროცესი შემთხვევითი რიცხვების ახალი მნიშვნელობებისათვის. ეს ციკლური გამოთვლები გაგრძელდება მანამ, სანამ ჩატარდება ყველა S ცდა. შედეგად მივიღებთ მიზნის ფუნქციის მინიმალურ მნიშვნელობას და მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების იმ მნიშვნელობებს, რომლებიც უზრუნველყოფს მიზნის ფუნქციის ოპტიმალურ მნიშვნელობას.

კომპიუტერზე ამოცანის ამოხსნის პროგრამა დაწერილია VBA (Visual Basic For Application) სისტემაზე. მისი რეალიზაციის პროგრამა სათანადო კომენტარებით მოცემულია ქვემოთ.

პირველ ცხრილში მოყვანილია ზემოთ აღნიშნული ამოცანის ამოხსნის შედეგები

ცხრილი 1

$I_0= 6.267872E-04$ $T1= 7.7238822644949$ $T2= 0.325034007430077$ $k= 214.488$ $T4= 2.28956246376038E-02$
 $I_0= 6.124125E-04$ $T1= 3.09223758161068$ $T2= 0.499780461192131$ $k= 216.9044$ $T4= 2.01570391654968E-02$
 $I_0= 5.38912E-04$ $T1= 9.01478716313839$ $T2= 0.406507894396782$ $k= 206.8236$ $T4= 0.0267364668884613$
 $I_0= 1.306256E-04$ $T1= 4.35987675607204$ $T2= 0.342941150069237$ $k= 205.2425$ $T4= 2.07870888710022E-02$

ავტომატური მართვის სისტემის გარდამავალი პროცესების აგება

მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების განსაზღვრის შემდეგ სასურველია ავადგომით გარდამავალი პროცესის გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს ავტომატური მართვის სისტემის სინთეზის საბოლოო ეტაპს. მას აკისრია ერთგვარი, შემოწმებითი ხასიათის ფუნქციაც. გარდამავალი პროცესის გრაფიკი ცხადად წარმოაჩენს მის დინამიკას, კერძოდ, რხევადია პროცესი თუ მონოტონური, გვიჩვენებს რეგულირების დროს და მაქსიმალური გადახრის სიდიდეების მნიშვნელობებს და აგრეთვე რხევის ჩაქრობის ინტენსიურობას. ერთი სიტყვით ყველა კითხვაზე გასცემს პასუხს, რომელიც დაისვა ამ სინთეზის დაწყების წინ, ამიტომ მის აგებას ძალიან დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

არსებობს ამს გარდამავალი პროცესის აგების მრავალი მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა შევადგათ სისტემის დინამიკური მახასიათებლები. ამ მეთოდებს შორის პირველია კლასიკური მეთოდი, რომელიც გულისხმობს სისტემის დიფერენციალური განტოლების ცოდნას, რასაკვირველია მისი

მარჯვენა ნაწილის გათვალისწინებით. განტოლების ამოსახსნელად საჭიროა დავეწროთ მახასიათებელი განტოლება მარჯვენა ნაწილის გარეშე. უნდა ვიპოვოთ მახასიათებელი განტოლების ფესვები და დიფერენციალური განტოლების ზოგადი ამონახსნი. შემდეგ უნდა ვეძებოთ კერძო ამონახსნები, რისთვისაც საჭიროა ინტეგრალური მუდმივების პოვნა საწყისი პირობების გათვალისწინებით. ამის შემდეგ საჭიროა გარდამავალი პროცესის აგება, საიდანაც ზუსტად გამოჩნდება ამს თვისობრიობის ყველა მაჩვენებელი. ეს პროცესი არის რთული, რადგანაც არ ვიცით მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების გავლენა გარდამავალი პროცესის მაჩვენებლებზე. ამის გასარკვევად საჭიროა ავადგომით ძალიან დიდი რიცხვი გარდამავალი პროცესებისა მაკორექტირებელი პარამეტრების სხვადასხვა კომბინაციის შემთხვევაში. ზოგად შემთხვევაში შეუძლებელია მივიღოთ ანალიზური დამოკიდებულება გარდამავალი პროცესის დროსა, მაქსიმალურ გადახრასა და სისტემის პარამეტრებს შორის. მაშინაც კი როცა მოინახება მრავალი ცდის ჩატარების შედეგად პარამეტრების მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი მნიშვნე-

ლობები, არ შეიძლება ვიყოთ დარწმუნებული, რომ არ არსებობს რომელიღაც სხვა უფრო მეტად სასურველი პარამეტრების თანაფარდობა. ამრიგად, ძნელი და რთული გამოთვლითი სამუშაოებიც კი არ იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებულია ბოლომდე კარგად, ამიტომ პოვნა უფრო სასურველი პარამეტრების კომბინაციისა, ამა თუ იმ თვალსაზრისით, არის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა.

გარდამავალი პროცესის აგების არსებულ მეთოდებს შორის მნიშვნელოვანია სიხშირული მეთოდი. ჩვენს შემთხვევაში, სწორედ ამ მეთოდის გამოყენება მიგვაჩნია ყველაზე მიზანშეწონილად.

კავშირი გარდამავალ ფუნქციასა და მის სიხშირულ მახასიათებელს შორის ჩაიწერება ფორმულით, რომელიც დაახლოებით 180 წლის წინ მიიღო ფურიემ.

$$y(t) = \frac{2}{\pi} \int_0^{\infty} \frac{U(\omega)}{\omega} \sin(\omega t) d\omega \quad (34)$$

სადაც $U(\omega)$ არის შეკრული ამ ნამდვილი (რეალური) სიხშირული მახასიათებელი.

$U(\omega)$ -ს გამოსათვლელად საჭიროა ვიცოდეთ შეკრული სისტემის გადაცემის ფუნქცია, რომელსაც აქვს სახე:

$$W_{cl}(p) = \frac{W_{op}(p)}{1 + W_{op}(p)} = \frac{k(T_2 p + 1)}{P(T_1 p + 1)(T_4 p + 1)(T_{02} p + 1)(T_{03} p + 1) + k(T_2 p + 1)} \quad (35)$$

თუ (35) გამოსახულების მნიშვნელს გადავამრავლებთ და შემდეგ დავალაგებთ p -ს ხარისხების მიხედვით და გავითვალისწინებთ (30) აღნიშვნებს, შესაბამისად გვექნება:

$$W_{cl}(p) = \frac{k(T_2 p + 1)}{c_5 p^5 + c_4 p^4 + c_3 p^3 + c_2 p^2 + c_1 p + c} \quad (36)$$

თუ (36) გამოსახულებაში p -ს შევცვლით $j\omega$ -ით და გავითვალისწინებთ, რომ $j^2 = -1$, მაშინ გვექნება:

$$W_{cl}(j\omega) = \frac{k(T_2 j\omega + 1)}{j c_5 \omega^5 + c_4 \omega^4 - j c_3 \omega^3 - c_2 \omega^2 + j c_1 \omega + c_0} = \frac{k(T_2 j\omega + 1)}{(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) + j(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)} \quad (37)$$

(37) გამოსახულების მნიშვნელში კომპლექსური რიცხვის მოსპობის მიზნით, საჭიროა ამ გამოსახულების მნიშვნელი და მრიცხველი გავამრავლოთ მნიშვნელის შეუღლებულ რიცხვზე, ე.ი. $(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) - j(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)$ -ზე, გვექნება:

$$W_{cl}(j\omega) = \frac{k(jT_2 \omega + 1)[(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) - j(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)]}{(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0)^2 + (c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)^2} \quad (38)$$

დაწვრილებით განვიხილოთ მხოლოდ მრიცხველი. ამისათვის გავამრავლოთ მრიცხველში მდგომი წევრები ერთმანეთზე და, შესაბამისად, გვექნება:

$$k[jT_2 \omega(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) + T_2 \omega(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega) + (c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) - j(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)] = k[T_2 \omega(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega) + (c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0)] + jk[(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) - (c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)]$$

ეს უკანასკნელი გამოსახულება შევიტანოთ (38) გამოსახულების მრიცხველში და დავალაგოთ რეალური და წარმოსახვითი ნაწილები ცალ-ცალკე. გვექნება:

$$W_{cl}(j\omega) = U(\omega) + jV(\omega),$$


სადაც

$$U(\omega) = \frac{k[T_2 \omega(c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega) + (c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0)]}{(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0)^2 + (c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)^2}, \quad (39)$$

$$V(\omega) = j \frac{k[T_2 \omega(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0) - (c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)]}{(c_4 \omega^4 - c_2 \omega^2 + c_0)^2 + (c_5 \omega^5 - c_3 \omega^3 + c_1 \omega)^2} \quad (40)$$

$U(\omega)$ და $V(\omega)$ არის შეკრული ავტომატური მართვის სისტემის რეალური და წარმოსახვითი სიხშირული მახასიათებლები, შესაბამისად.

მე-2 სურ-ზე მოცემულია რეალური სიხშირული მახასიათებლის გრაფიკი



სურ. 2.

დავუბრუნდეთ ისევ (34) ფორმულას და დროის ფიქსირებული მომენტისათვის, ე.ი. როცა $t = t_1$, ფორმულა წარმოდგინდება შემდეგნაირად:

$$y(t_1) = \frac{2}{\pi} \int_0^{\omega_1} U(\omega) \frac{\sin(\omega t_1)}{\omega} d\omega \quad (41)$$

ეს უკანასკნელი კი ინტეგრალის გამოთვლის ტრაპეციების მეთოდის გამოყენებით [6] შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} y(t_1) &= \frac{2}{\pi} \Delta\omega \left[\frac{1}{2} \frac{U(\omega_1)}{\omega_1} \sin(t_1\omega_1) + \frac{U(\omega_2)}{\omega_2} \sin(t_1\omega_2) + \dots + \right. \\ &+ \left. \frac{U(\omega_{l-1})}{\omega_{l-1}} \sin(t_1\omega_{l-1}) + \frac{1}{2} \frac{U(\omega_l)}{\omega_l} \sin(t_1\omega_l) \right] = \\ &= \frac{2}{\pi} \Delta\omega \left\{ \sum_{i=2}^{l-1} \frac{U(\omega_i)}{\omega_i} \sin(t_1\omega_i) + \right. \\ &+ \left. 0.5 \left[\frac{U(\omega_1)}{\omega_1} \sin(t_1\omega_1) + \frac{U(\omega_l)}{\omega_l} \sin(t_1\omega_l) \right] \right\} \quad (42) \end{aligned}$$

ჩაწერის გამარტივების მიზნით შემოვიღოთ აღნიშვნა:

$$\frac{U(\omega)}{\omega} \sin(\omega t) = z$$

მაშინ (42) გამოსახულება ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$y(t_1) = \frac{2}{\pi} \Delta\omega \left[\sum_{i=2}^{l-1} z_{ij} + 0.5(z_{1j} + z_{lj}) \right], \quad j = 1, 2, \dots, M, \quad (43)$$

სადაც M დისკრეტიზაციის რიცხვია, ხოლო l – ინტეგრირების ზღვარი.

გარდამავალი პროცესის ასეთი წარმოდგენის უპირატესობა არის ის, რომ იგი ადვილად რეალიზებადი ხდება კომპიუტერზე. რაც შეეხება ინტეგრირების ბიჯს, იგი საჭიროა ავარჩიოთ ისეთნაირად, რომ ინტეგრირების ბიჯის ფარგლებში ინტეგრალქვეშა ფუნქცია უნდა იყოს თითქმის წრფივი.

პირველ ნულოვან მნიშვნელობას $\frac{\sin(\omega t)}{\omega}$ ფუნქცია ლებულობს მაშინ, როცა არგუმენტი $\omega t = \pi$ საიდანაც შესაბამისად შეიძლება გამოვითვალოთ:

$$\omega = \frac{\pi}{t_r}, \quad (44)$$

$[\omega, \infty)$ ინტერვალი, რომელიც მიღებულია (44)-დან შეიძლება დავყოთ, $\omega = \Delta\omega \cdot l$ მონაკვეთებად, საიდანაც $\Delta\omega = \frac{\omega}{l}$, რაც იქნება ინტეგრირების ბიჯის მნიშვნელობა.

სტატის თან ერთვის პროგრამები, დაწერილი Visual Basic for Application სისტემაში. რომლებიც გამოითვლიან მაკორექტირებელი მოწყობილობის ოპტიმალურ პარამეტრებს და აგრეთვე ოპტიმალურობის გზაზე მიმავალი პროცესის დროს შუალედური პარამეტრების მნიშვნელობებს. მე-3 სურ-ზე ნაჩვენებია აგრეთვე ამ პარამეტრების შესაბამისი ამს გარდამავალი პროცესების გრაფიკები. გრაფიკებიდან ნათლად ჩანს ყველა იმ დინამიკური მახასიათებლის მნიშვნელობების პასუხები, რომელიც დაისვა ამს სინთეზის დასაწყისში.

ცხრილი 2

t	y1(t)	y2(t0)	y3(t)	y4(t)
0.01	7.80E-05	0.000392	0.000185	8.83E-05
0.02	0.000195	0.000932	0.000445	0.000218
0.03	0.000387	0.001739	0.000844	0.000426
0.04	0.000678	0.002889	0.001429	0.000738
0.05	0.001085	0.004396	0.00222	0.00117
0.06	0.001611	0.006211	0.003211	0.001725
0.07	0.002248	0.008232	0.004371	0.002392
0.08	0.002978	0.01031	0.005651	0.003151
0.09	0.003777	0.01228	0.006985	0.003975
0.1	0.004618	0.013982	0.008308	0.004834
0.11	0.005474	0.015281	0.009559	0.005698
0.12	0.006321	0.016091	0.010687	0.006542
0.13	0.007141	0.016379	0.011658	0.007349
0.14	0.007923	0.016168	0.012457	0.008105
0.15	0.00866	0.015534	0.013083	0.008807
0.16	0.00935	0.014587	0.01355	0.009454
0.17	0.009995	0.013457	0.013877	0.010049
0.18	0.010598	0.012275	0.01409	0.010598
0.19	0.011161	0.011158	0.014209	0.011104
0.2	0.011683	0.010194	0.014252	0.011569
0.21	0.012165	0.009442	0.014231	0.011993
0.22	0.012602	0.008928	0.014154	0.012373
0.23	0.012993	0.008647	0.014023	0.012708
0.24	0.013333	0.008577	0.013843	0.012993
0.25	0.013621	0.008682	0.013617	0.013229
0.26	0.013856	0.008923	0.013353	0.013414
0.27	0.014042	0.009262	0.013063	0.013553
0.28	0.014182	0.009668	0.01276	0.013651
0.29	0.014283	0.010114	0.012461	0.013714
0.3	0.014351	0.010578	0.012182	0.013751
0.31	0.014393	0.011039	0.011936	0.013766
0.32	0.014412	0.011476	0.011731	0.013767


გაგრძელება

0.33	0.014413	0.011869	0.01157	0.013757
0.34	0.014398	0.012194	0.011452	0.013736
0.35	0.014366	0.01243	0.01137	0.013706
0.36	0.014319	0.012562	0.011318	0.013665
0.37	0.014255	0.012581	0.011285	0.013613
0.38	0.014175	0.012491	0.011265	0.013549
0.39	0.01408	0.012305	0.011252	0.013474
0.4	0.013973	0.012048	0.011246	0.013391
0.41	0.013858	0.011752	0.011248	0.013302
0.42	0.013738	0.011454	0.01126	0.013211
0.43	0.013618	0.011187	0.011286	0.013123
0.44	0.013501	0.010979	0.011328	0.013041
0.45	0.013388	0.010846	0.011386	0.012966
0.46	0.013282	0.010794	0.011458	0.012899
0.47	0.013182	0.010817	0.011538	0.01284
0.48	0.013086	0.0109	0.01162	0.012786
0.49	0.012994	0.011023	0.011698	0.012736
0.5	0.012904	0.011166	0.011766	0.012687
0.51	0.012816	0.01131	0.011819	0.012638
0.52	0.012729	0.011442	0.011857	0.012589
0.53	0.012644	0.011555	0.011882	0.012542
0.54	0.012563	0.01165	0.011896	0.012496
0.55	0.012489	0.01173	0.011906	0.012455
0.56	0.012422	0.0118	0.011916	0.01242
0.57	0.012363	0.011866	0.011929	0.012393
0.58	0.012315	0.011928	0.011949	0.012373
0.59	0.012275	0.011986	0.011973	0.012361
0.6	0.012243	0.012035	0.012	0.012355
0.61	0.012216	0.012067	0.012026	0.012353
0.62	0.012194	0.012078	0.012048	0.012352
0.63	0.012174	0.012064	0.012063	0.012351
0.64	0.012155	0.012026	0.012069	0.012349
0.65	0.012138	0.011968	0.012067	0.012345
0.66	0.012122	0.011901	0.012059	0.012341

გაგრძელება

0.67	0.012109	0.011836	0.01205	0.012338
0.68	0.0121	0.011787	0.012044	0.012337
0.69	0.012096	0.011762	0.012043	0.01234
0.7	0.012098	0.011768	0.012051	0.012347
0.71	0.012105	0.011804	0.012068	0.012359
მაქს. მნიშვნ.	1.44E-02	0.016379	0.014252	1.38E-02

მე-2 ცხრილში ასახულია გარდამავალი პროცესის რიცხვითი მნიშვნელობები. ცხრილის სვეტის (ნომრების) მონაცემები შეესაბამება გარდამავალი პროცესის გრაფიკების ნომრებს. თითოეული სვეტის ბოლოში მითითებულია მაქსიმალური გადახრის სიდიდე, ხოლო ბოლო სტრიქონის ბოლო უჯრედში მითითებულია მაქსიმალურ გადახრებს შორის უმცირესის მნიშვნელობა. ამრიგად, დამპროექტებელს აქვს სრული ინფორმაცია ოპტიმალური პარამეტრების ასარჩევად.



სურ. 3.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია წრფივი მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობის გაანგარიშების მეთოდი, კვადრატული ინტეგრალური კრიტერიუმის მიხედვით. სიახლეა ის, რომ ზემოთ მოყვანილი ამოცანა განხილულია, როგორც არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების ამოცანა, ხოლო მრავალი ცვლადის, მრავალექსტრემუმიანი ფუნქციის გლობალური ექსტრემუმის მოსაძიებლად გამოყენებულია შემთხვევითი ძებნის მეთოდი. გამოყოფილია აგრეთვე მარტივ ავტომატურ სისტემათა კლასი, რომლებსაც აქვთ ერთექსტრემუმიანი მიზნის ფუნქცია. ასეთ შემთხვევაში დამტკიცებულია თეორემები და მოცემულია ანალიზურად ექსტრემუმის წერტილები. განილულია რიცხვითი მაგალითები. დამუშავებულია პროგრამები, რომელიც დაწერილია Visual Basic for Applikation სისტემის საფუძველზე. აგებულია შესაბამისი გარდამავალი პროცესების გრაფიკები.

დანართი 1

რეალური სიხშირული მახასიათებლის აგების პროგრამა

```
'realuri maxasiatebelis programa
Dim T1, T2, T3, T4, T01, T02, T03 As Single
Dim c0, c1, c2, c3, c4, c5, D, F, Om, U, q1, q2, k As Single
T1 = 8.7
T2 = 0.47
T3 = 200
T4 = 0.02
T01 = 0.1ამა
T02 = 0.02
T03 = 0.01
k = 200
l = 0
For Om = 0.1 To 50 Step 1
l = l + 1
c0 = k
c1 = 1+k * T2
c2 = T4 + T1 + T02 + T03
c3 = T1 * T4+T1*T02+T1*T03+T4*T02+T4*T03+T02*T03
c4 = T1 * T4 * T02 + T1 * T4 * T03 + T4 * T02 * T03 + T4 * T02 * T03
c5 = T1 * T4 * T02 * T03
D=c5*Om^5-c3*Om^3+c1*Om
F=c4*Om^4-c2*Om^2+c0
U=c0*(T2*Om*D+f)/(F^2+D^2)
Cells(1 + l, 2).Value = U
Cells(1 + l, 3).Value = Om
Next Om
```

გარდამავალი პროცესის გრაფიკის აგების პროგრამა (მე-2 ცხრილის ფორმირება)

```
'gardamavalis agebis programa
Dim T1, T2, T3, T4, T01, T02, T03 As Single
Dim c0, c1, c2, c3, c4, c5, D, F, Om, U, k As Single
Dim x, y, delta As Single
Dim l, j As Integer
T1 = 7.72
T2 = 0.325
T4 = 0.029
k = 214.5
T01 = 0.1
T02 = 0.02
T03 = 0.01
delta = 0.01
y = 0
l = 0
For t = 0.01 To 0.72 Step 0.01
l = l + 1
For Om = 0.1 To 50 Step 1
c0 = k
```

```

c1 = 1 + c0 * T2
c2 = T4 + T1 + T02 + T03
c3 = T1 * T4 + T1 * T02 + T1 * T03 + T4 * T02 + T4 * T03 + T02 * T03
c4 = T1 * T4 * T02 + T1 * T4 * T03 + T4 * T02 * T03 + T4 * T02 * T03
c5 = T1 * T4 * T02 * T03
D = c5 * Om^5 - c3 * Om^3 + c1 * Om
F = c4 * Om^4 - c2 * Om^2 + c0
U = c0 * (T2 * Om * D + F) / (F^2 + D^2)
x = U / Om * sin(Om * t)
y = y + x
Next Om
y = 2 / 3.14 * delta * y
Cells(1 + l, 2).Value = y
Cells(1 + l, 4).Value = t
Next t

```

მაკორექტირებელი მოწყობილობის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების გაანგარიშების პროგრამა (პირველი ცხრილის ფორმირება)

```

Private Sub Command1_Click()
' makoreqtirebeli mowyobilobis parametrebis optim. mniShv.gaangariSebis programa
' SemTxveviTi Zebnis meTodiT
Dim T1, T2, T3, T4, Om, q11, q12, q21, q22, q31, q32, q41, q42, b0, b1, b2, b3, b4, b5 As Single
Dim c0, c1, c2, c3, c4, c5, m0, m1, m2, m3, m4, d, lmin, lo As Single
Dim AA(4), BB(4), XM(4), X(4), g(8) As Single
Dim N, ll, k, kk, J, M As Integer
Dim q1, q2, q3, q4 As Single
T1 = 0.1
T2 = 0.02
T3 = 0.01
s = 250
N = 4
M = 8
kk = 1
lmin = 300
q11 = 2.27
q12 = 10
q21 = 0.125
q22 = 0.5
q31 = 200
q32 = 225
q41 = 0.02
q42 = 0.03
AA(1) = q11
BB(1) = q12
AA(2) = q21
BB(2) = q22
AA(3) = q31
BB(3) = q32
AA(4) = q41
BB(4) = q42
'Randomize

```

```

For J = 1 To s
For I = 1 To N
X(i) = AA(i) + (BB(i) – AA(i)) * Rnd
Next i
g(1) = X(1) – q11
g(2) = q12 – X(1)
g(3) = X(2) – q21
g(4) = q22 – X(2)
g(5) = X(3) – q31
g(6) = q32 – X(3)
g(7) = X(4) – q41
g(8) = q42 – X(4)
II = 0
For k = 1 To M
If g(k) >= 0 Then II = II + 1
Next k
If II = M Then
q1 = X(1)
q2 = X(2)
q3 = X(3)
q4 = X(4)
b0 = 1
b1 = q1 + q4 + T2 + T3
b2 = q1 * q4 + q1 * T2 + q1 * T3 + q4 * T2 + q4 * T3 + T2 * T3
b3 = q1 * q4 * T2 + q1 * q4 * T3 + q1 * T2 * T3 + q4 * T2 * T3
b4 = q1 * q4 * T2 * T3
c0 = q3
c1 = 1 + q3 * q2
c2 = q1 + q4 + T2 + T3
c3 = q1 * q4 + q1 * T2 + q1 * T3 + q4 * T2 + q4 * T3 + T2 * T3
c4 = q1 * q4 * T2 + q1 * q4 * T3 + q1 * T2 * T3 + q4 * T2 * T3
c5 = q1 * q2 * T2 * T3
m1 = -c0 * c3 + c1 * c2
m0 = (c3 * m1 – c1 * m2) / c5
m2 = -c0 * c5 + c1 * c4
m3 = (c2 * m2 – c4 * m1) / c0
m4 = (c2 * m3 – c4 * m2) / c0
d = c0 * (c1 * m4 – c3 * m3 + c5 * m4)
lo = 0.5 * ((b4 ^ 2 * m0 + (b3 ^ 2 + 2 * b2 * b4) * m1 + (b2 ^ 2 – 2 * b1 * b3 + 2 * b0 * b4) * m2 + _
(b1 ^ 2 – 2 * b1 * b2) * m3 + b0 ^ 2 * m4)) / d
lo = Abs(lo)
If lo <= Imin Then
Imin = lo
For I = 1 To N
XM(i) = X(i)
Next i
Print “lo=”; Imin; “T1=”; X(1); “T2=”; X(2); “k=”; X(3); “T4=”; X(4)
Else
End If
End If
Next J
End Sub

```

ლიტერატურა

1. V. Lazarev, E. Travina. Synthesis and Calculation of Automatic Control Systems. ITMO University, St. Petersburg, 2018. (In Russian);
 2. I. Iboduauli. Solving Problems of Synthesis of Control Systems by the Method of Variational Genetic Programming. Abstract of Dissertation, Moscow: 2014. (In Russian);
 3. J.L.K. Newton, L. Gould, J. Kaiser. Theory of Linear Systems (Analytical Methods of Calculation) Fizmat Iz. Moscow: 1961. (In Russian);
 4. Theory of Automatic Control. Edited by Netushil. Textbook for universities. Ed. 2nd rev. M.: 1976. (In English);
 5. V. Gemin, B. Kagan. Optimal design methods. M.: "Energy", 1980. (In Russian);
 6. V. Demidovich, I. Maron. Fundamentals of Computational Mathematics, Moscow: "Science", 1970. (In Russian).
-

UDC 513.21

SCOPUS CODE 1701

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-55-74>

Determination of the Optimal Values of the Parameters of Linear Corrective Devices of the Automatic Control System by the Integral Quadratic Criterion

Badri Gvasalia

Department of Computer-aided Design of Construction, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str.
E-mail: b.gvasalia@gtu.ge

Reviewers:

N. Lominadze, Professor, Faculty of Informatics and Control Systems, GTU

E-mail: n.lominadze@gtu.ge

M. Kublashvili, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: m.kublashvili@gtu.ge

Abstract. When designing an automatic control system (ACS), it is important to determine the optimal values of the parameters of the correcting device according to any of the criteria.

Recently, more and more publications have appeared on the use of the method of nonlinear mathematical programming for solving problems of synthesis of an automated control system.

The article discusses a method for determining the optimal parameters of linear correcting devices according to the quadratic integral criterion. The novelty is the presentation of the above mentioned problem in the form of a nonlinear mathematical programming problem. To find a multiparametric, multiextremal, i.e. complex, objective function, a random search method is used.

Also, a class of automatic control systems having one extreme objective function is highlighted. For this case, the theorems are proved, and the formula for determining extreme points is given in an analytical form. Numerical examples are also considered. Programs have been developed for implementing the corresponding algorithms on a computer in VBA language. The graphs of the corresponding transients are given.

Key words: automatic control system; integral quadratic criteria; linear corrective device; optimal transient process.

UDC 513.21

SCOPUS CODE 1701

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-55-74>

Определение оптимальных значений параметров линейных корректирующих устройств системы автоматического управления по интегральному квадратичному критерию

Бадри Гвасалия Департамент компьютерного проектирования строительства, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси ул. М. Костава, 68^б
E-mail: b.gvasalia@gtu.ge

Рецензенты:

Н. Ломинадзе, профессор факультета информатики и систем управления ГТУ

E-mail: n.lominadze@gtu.ge

М. Кублашвили, профессор строительного факультета ГТУ

E-mail: m.kublashvili@gtu.ge

Аннотация. При проектировании системы автоматического управления (АСУ) важно определить оптимальные значения параметров корректирующего устройства по любому из критериев.

В последнее время появляется все больше публикаций об использовании метода нелинейного математического программирования для решения задач синтеза автоматизированной системы управления.

В статье рассматривается метод определения оптимальных параметров линейных корректирующих устройств по квадратичному интегральному критерию. Новизной является представление выше указанной задачи в виде задачи нелинейного математического программирования. Для нахождения многопараметрической, многоэкстремальной, т.е сложной, целевой функции использован метод случайного поиска.

Также, выделен класс систем автоматического управления, чья целевая функция имеет один экстремум. Для данного случая доказана справедливость теорем, а формула определения экстремальных точек приведена в аналитическом виде. Рассмотрены также численные примеры. Разработаны программы для реализации соответствующих алгоритмов на компьютерном языке VBA. Приведены графики соответствующих переходных процессов.

Ключевые слова: интегральный квадратичный критерии; линейное корректирующее устройство; оптимальный переходный процесс; система автоматического управления.

განხილვის თარიღი 03.07.2020

შემოსვლის თარიღი 28.09.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.2021

UDC 62-52

SCOPUS CODE 1701

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-75-97>

პროპორციულ-ინტეგრალური რეგულატორის პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობების გაანგარიშება ინტეგრალური კვადრატული კრიტერიუმის მინიმუმის მიხედვით და გარდამავალი პროცესის რხევის ჩაქრობის კოეფიციენტის მნიშვნელობის გათვალისწინებით

ბადრი გვასალია მშენებლობის კომპიუტერული დაპროექტების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: Gvasaliabadri01@gtu.ge

რეცენზენტები:

კ. ოდიშარია. სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
O_korneli@yahoo.com

ე. აბრამიძე. სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
Edisoni.abramidze@mail.ru

ანოტაცია. მრავალ პრაქტიკულ შემთხვევაში, როდესაც ინტეგრალური კრიტერიუმი დებულობს მინიმალურ მნიშვნელობას, სისტემის გარდამავალ პროცესს ახასიათებს საკმაოდ დიდი რხევები, რაც სხვადასხვა ტექნიკური მოსაზრებიდან გამომდინარე მიუღებელია. ამიტომ მიზანშეწონილია ინტეგრალური კვადრატული კრიტერიუმის გამოყენება არა იზოლირებულად, არამედ გარდამავალი პროცესის რხევის ჩაქრობის კოეფიციენტთან ერთობლიობაში. აღნიშნული კოეფიციენტის შემოტანის აუცილებლობას ამოცანა გადაწყავს ოპტიმიზაციის მრავალკრიტერიუმიან ამოცანაში.

სტატიაში განხილულია PI (Proportional-Integral Regulator) რეგულატორის პარამეტრების ოპტი-

მალური მნიშვნელობის გაანგარიშების ამოცანა ინტეგრალური კვადრატული კრიტერიუმის მიხედვით და გარდამავალი პროცესის რხევის ჩაქრობის კოეფიციენტის სასურველი მნიშვნელობის გათვალისწინებით. ნაშრომში გამოყენებულია გაფართოებული ამპლიტუდურ-ფაზური სიხშირული მახასიათებელი PI რეგულატორის საანგარიშო ფორმულების გამოსათვლელად, ხოლო კვადრატული ინტეგრალური კრიტერიუმის მინიმალური მნიშვნელობის საანგარიშოდ გამოყენებულია შემთხვევითი ძებნის მეთოდი. მოყვანილია რიცხვითი მაგალითი და ილუსტრირებულია სხვადასხვა გარდამავალი პროცესი. დამუშავებულია კომპიუტერული პროგრამები VBA პროგრამული საშუალების გამოყენებით.

საკვანძო სიტყვები: ავტომატური მართვის სისტემის სინთეზი; პროპორციულ-ინტეგრალური რეგულატორი; ინტეგრალური კვადრატული კრიტერიუმი; ოპტიმალური პარამეტრები.

შესავალი

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არ არსებობს ერთიანი შეხედულება იმაზე, თუ გარდამავალი პროცესის რხევის ჩაქრობის β კოეფიციენტის რომელი მნიშვნელობა არის ოპტიმალური [1], გარკვევით შეიძლება ითქვას მხოლოდ ის, რომ გარდამავალი პროცესის რხევის ჩაქრობის ხარისხის კოეფიციენტის მნიშვნელობა იქნება $0 < \beta < 1$ შუალედში, რაც დადასტურებულია მრავალი ათეული ცდის ჩატარების შედეგად ანალოგურ კომპიუტერებზე.

ქვემოთ მოცემულია მცდელობა ამ საკითხების გადასაჭრელად. ეს შესაძლებელია თუ ავტომატური მართვის სისტემის სინთეზის ამოცანას წარმოვადგენთ არაწრფივი მათემატიკური დაპროგრამების ამოცანად და ამ საკითხების გადასაწყვეტად გამოვიყენებთ საპროექტო პარამეტრების ძიების სტოქსტიკურ მეთოდებს [2,3].

ამოცანის დასმისათვის საჭირო წინაპირობები

გავაკეთოთ მცირე ექსკურსი ავტომატური მართვის თეორიაში [4] და განვიხილოთ თუ რას ნიშნავს გარდამავალი პროცესის ჩაქრობის კოეფიციენტი (β ან m) და გაფართოებული ამპლიტუდურ-ფაზურ-სიხშირული მახასიათებელი.

რხევის ჩაქრობის β კოეფიციენტი ახასიათებს გარდამავალი პროცესის რხევითი შემადგენლის ჩაქრობის ხარისხს. იგი რიცხობრივად ტოლია უმ-

ცირესი კომპლექსური ფესვის ნამდვილი ნაწილისა და წარმოსახვითი ნაწილის კოეფიციენტის შეფარდების აბსოლუტური მნიშვნელობის.

ავხსნათ ეს. ავტომატური მართვის სისტემის ამსახველ დიფერენციალური განტოლების ამონახსნს აქვს სახე:

$$y(t) = \sum_{k=1}^n A_k e^{p_k t} . \quad (1)$$

გარდამავალი პროცესის რხევის ხასიათი დამოკიდებულია მახასიათებელი განტოლების p_k ფესვზე. p_k ფესვს აქვს შემდეგი სახის შეზღუდვა:

$$p_k = -m\omega + i\omega , \quad (2)$$

სადაც m დადებითი რიცხვია. ამ ფესვს შეესაბამება გარდამავალი პროცესის რხევითი შემადგენელი, რომელსაც აქვს სახე:

$$y_k(t) = A_k e^{-m\omega t} \cos(\omega t) , \quad (3)$$

სადაც ω რხევის სიხშირეა. მაშინ t_i მომენტში, როდესაც, მაგალითად $\omega t = k\pi$ (k მთელი რიცხვია). მაშინ $y(t)$ სიდიდის რხევის ამპლიტუდას ექნება შემდეგი სახე:

$$A_i = A_k e^{-mk\pi} , \quad (4)$$

ხოლო t_{i+2} მომენტში, რაც შეესაბამება $\omega_{i+2} = k\pi + 2\pi$, A_{i+2} ამპლიტუდა ტოლი იქნება

$$A_{i+2} = A_k e^{-m(k\pi+2\pi)} . \quad (5)$$

რხევის ჩაქრობის β ხარისხი ეწოდება გარდამავალი პროცესის ყველაზე სუსტად ჩაქრობადი შემადგენლის ორი მეზობელი დადებითი ამპლიტუდის სხვაობის შეფარდებას პირველ მეზობელ ამპლიტუდასთან, რაც შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად:

$$\beta = \frac{(\sigma_{\max})_i - (\sigma_{\max})_{i+2}}{(\sigma_{\max})_i} = 1 - \frac{(\sigma_{\max})_{i+2}}{(\sigma_{\max})_i} . \quad (6)$$

აქედან ჩანს, რომ ჩაქრობის ხარისხის β კოეფიციენტი ტოლია ნულის იმ შემთხვევაში, თუ $(i+2)$ ამპლიტუდა $(\sigma_{\max})_{i+2}$ ტოლია i -ური $(\sigma_{\max})_i$ ამპლიტუდის, ე.ი. როცა პროცესი არაჩაქრობადია.

β კოეფიციენტი ტოლია ერთის იმ შემთხვევაში, თუ $(i+2)$ ამპლიტუდა $(\sigma_{\max})_{i+2}$ ტოლია ნულის, რაც შეესაბამება გარდამავალი პროცესის აპერიოდულ ფორმას.

მაშასადამე, გარდამავალი პროცესის ჩაქრობის ხარისხის კოეფიციენტის ყველა საშუალებო მნიშვნელობა იქნება $0 < \beta < 1$ შუალედში. შესაბამისად,

11. K. Amirejibi. The first decade of Soviet architecture in Tbilisi. Scientific-Technical magazine "Architecture and modern problems of urban planning" N1.2011. (In Georgian);
12. I. Kvaraia, M. Javakhishvili. Reconstruction of buildings Technology. Georgian Technical University. 2008 (In Georgian).

UDC 624.049

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-220-231>

Maintenance of the Old Building Facade During Its Reconstruction

Irakli Kvaraaia

Department of Civil and Industrial Engineering and Building Materials, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str.

E-mail: irakvara@yahoo.com

Liana Giorgobiani

Department of Architecture Basics and Theory, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^a M. Kostava str.

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Reviewers:

R. Zhgenti, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: rjghenti@yahoo.com

D. Tabatadze, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: demuritabatadze@yahoo.com

Abstract. Facades of buildings are of special importance for the preservation of the traditional architectural appearance of cities. The façade of the building is a living expression of the era in which it was built and it is an integral part of history. Therefore, demolition of buildings declared as historical or cultural heritage sites is categorically unacceptable. It is necessary to carry out their reconstruction work, keeping the facade intact. In Tbilisi, back in the 70s of the last century, the restoration of houses with balconies began, and today the rehabilitation-reconstruction of old neighborhoods is being successfully carried out. Many famous buildings have been completely renovated as a result of the reconstruction, but sometimes it is necessary to completely renovate the interior of the building. The main problem at this time is to maintain the stability of the façade walls, which often, during the reconstruction process, no longer have any connection with the main frame part. That is why they are temporarily strengthened. Due to the conditions of the reconstruction, the reinforcement constructions are arranged in different ways and after the completion of the works, the facade becomes an integral part of the new building again. In recent years, several such interesting reconstruction works have been carried out in Tbilisi.

Key words: building; construction; dismantling; facade; installation; maintenance; reconstruction; restoration; reinforcement; wall.

UDC 624.049

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-220-231>

Сохранение фасада старого здания во время его реконструкции

Иракли Кварая

Департамент технологий гражданского и промышленного строительства и строительных материалов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава 68^б

E-mail: irakvara@yahoo.com

Лиана Гиоргобиани

Департамент архитектуры и теории, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^а

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Рецензенты:

Р. Жгенти, профессор строительного факультета ГТУ

E-mail: rjghenti@yahoo.com

Д. Табатадзе, профессор строительного факультета ГТУ

E-mail: demuritabatadze@yahoo.com

Аннотация. Фасад здания имеет особое значение в сохранении традиционного облика города. Это живое выражение своей эпохи и неотъемлемая часть истории. Поэтому снос зданий, объявленных объектами исторического или культурного наследия, категорически недопустим. Их необходимо реконструировать и поддерживать фасады. В Тбилиси еще в 70-х годах прошлого века началась реставрация домов с открытыми балконами, а сегодня проводится реабилитация-реконструкция старых кварталов. Многие известные здания были полностью отремонтированы, но иногда необходимо полностью обновить интерьер здания. Основная проблема, в этом случае, заключается в сохранении устойчивости фасадных стен, которые в процессе реконструкции часто не связаны с основным каркасом. В этих случаях строительные работы требуют их самостоятельного усиления, которое можно устроить по-разному, но после завершения работ фасад все равно должен стать неотъемлемой частью новостройки. За последние годы в Тбилиси было проведено несколько таких интересных работ по реконструкции.

Ключевые слова: армирование; демонтаж; здание; монтаж; обслуживание; реконструкция; реставрация; строительство; стена; фасад.

განხილვის თარიღი 13.10.2020

შემოსვლის თარიღი 11.11.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.2021

UDC 693/694

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-232-244>

თბილისური ცათამბჯენების მშენებლობა

- ირაკლი ქვარაია** სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიებისა და საშენი მასალების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: irakvara@yahoo.com
- ლიანა გიორგობიანი** არქიტექტურის საფუძვლებისა და თეორიის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 68^ბ
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

რეცენზენტები:

რ. ჟღენტი, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: rjghenti@yahoo.com

დ. ტაბატაძე, სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი

E-mail: demuritabatadze@yahoo.com

ანოტაცია. თბილისში პირველი მაღლივი შენობა 1938 წელს აიგო. ეს არის ცნობილი „11-სართულიანი სახლი“ გმირთა მოედანზე. XX საუკუნის ბოლომდე თბილისში ყველაზე მაღალ შენობად, 22-სართულიანი სასტუმრო „ივერია“ ითვლებოდა. იგი აშენდა 1967 წელს, ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებით, რომ საბჭოთა რესპუბლიკების ყველა დედაქალაქში მინიმუმ ერთი მაღლივი შენობა მაინც უნდა ყოფილიყო. ამ საუკუნის დასაწყისიდან საქართველო მთლიანად გადავიდა მონოლითური რკინაბეტონით მშენებლო-

ბაზე და მაღლივი კორპუსების რაოდენობა გაიზარდა როგორც თბილისში, ისე მთელს ქვეყანაში. პირველი ნამდვილი ცათამბჯენი, 100 მეტრზე მეტი სიმაღლის, თბილისში 2016 წელს აშენდა. ეს იყო სასტუმრო „ბილტმორის“ 138-მეტრიანი კოშკი. ამის შემდეგ კიდევ აშენდა ექვსი ცათამბჯენი, რაც თბილისის ურბანული დაგეგმარების ახალი ეტაპის დასაწყისად უნდა ჩაითვალოს.

საკვანძო სიტყვები: ბირთვი; კარკასი; კოშკი; ლითონი; მშენებლობა; პილონი; რკინაბეტონი; საყრდენი; შენობა; ცათამბჯენი.

შესავალი

მსოფლიოში, ცათამბჯენების მშენებლობის დასაწყისად XIX საუკუნის ოთხმოციანი წლები ითვლება. მანამდე ექვს- და მეტსართულიანი შენობების აგება შეუძლებელი იყო მზიდი კედლების დიდი სისქის, სიმაღლეში წყალმომარაგებისა და ლიფტების საიმედო მუშაობაში არსებული სერიოზული პრობლემების გამო. ამ საკითხების გადაწყვეტამ აშშ-ში დასაბამი მისცა მაღლივი შენობების აგებას. 1885 წელს ჩიკაგოში არქიტექტორ უილიამ ლე ბარონ ჯენის (მას „ცათამბჯენის მამას“ უწოდებენ) პროექტით აშენდა სადაზღვევო კომპანიის 42 მეტრი სიმაღლის 10-სართულიანი შენობა, რომელსაც მაშინვე ცათამბჯენი ეწოდა. იქ პირველად გამოიყენეს ლითონის კარკასი და მასზე შეკიდული თხელი შემომფარგლავი კედლები. ამ შენობას, რომელიც 1931 წელს დაანგრის, არქიტექტურული ძეგლების სიაში აშშ-ში პირველი ადგილი უჭირავს. 1931 წელს ნიუ-იორკში აშენდა 102-სართულიანი 381 მეტრი (1950-იან წლებში საჰაერო ხომალდების, დირიჟაბლების დასამაგრებელი ანძის ნაცვლად სატელევიზიო კოშკის დამატების შემდეგ 443 მეტრი) სიმაღლის „ემპაიერ სტეიტ ბილდინგი“ (მთავარი არქიტექტორი უილიამ ფ. ლემბი), რომელიც 41 წლის განმავლობაში მსოფლიოში ყველაზე მაღალი შენობა იყო. იმის გამო, რომ 300 მეტრზე მაღლა ფოლადის სვეტებისა და რიგელების სისტემის მდგრადობა ნაკლებად ეფექტური გამოდგა, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მთელს მსოფლიოში წარმატებით დაიწყო მზარდი მილის ტექნოლოგიის გამოყენება. მიუხედავად ამ მეთოდის შეუზღუდავი შესაძლებლობისა, შენობის სიმაღლის ზრდასთან ერთად პროპორციულად იზრდე-

ბოდა საყრდენი ფართობი, რაც ცათამბჯენების აგების ძირითად იდეას ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ, მათი მშენებლობა გაგრძელდა ლითონის ან რკინაბეტონის მზიდი ბირთვის გამოყენებით. 2004 წელს ტაივანში, 101-სართულიანი, 509 მეტრი სიმაღლის „ტაიბეი 101“ (დამპროექტებელი კომპანია C.Y.Lee & Partners) გახდა პირველი შენობა, რომლის სიმაღლემ ნახევარ კილომეტრს გადააჭარბა. 2010 წლიდან მსოფლიო ლიდერია ყველაზე მრავალსართულიანი (163) და ყველაზე მაღალი (828 მეტრი) „ბურჯ ხალიფა“ (პროექტის ავტორი არქიტექტორი ადრიან სმიტი).

ეკონომიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილია 30 – 40-სართულიანი ცათამბჯენების მშენებლობა. სართულების შემდგომი ზრდა, სპეციალური ღონისძიებების გატარებას მოითხოვს რთული საინჟინრო კომუნიკაციების მოსაწყობად, რომელიც ისედაც საერთო ღირებულების 10-15 %-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ცათამბჯენების აგება ბოლო დროს ხშირად განპირობებულია მხოლოდ პოლიტიკური და ქალაქრეგულირებითი მოსაზრებით. ამასთანავე თვალში საცემია მსოფლიოში არსებულ ცათამბჯენებს შორის საცხოვრებელი სახლების მცირე წილი (20%) და მათი საშუალო სიმაღლე (140–150 მ).


ძირითადი ნაწილი

პირველი მაღლივი შენობა თბილისში, ე.წ. „ასბინიანი სახლი“ (არქიტექტორი მ. კალაშნიკოვი), 1938 წელს აიგო. ეს არის „11-სართულიანი სახლი“ ახლანდელ გმირთა მოედანზე. ის მონოლითური რკინაბეტონისაა და ყოფილ საბჭოთა კავშირში პირველად აქ გამოიყენეს მცოცავი ხის ყალიბები. მეორე მსოფლიო

ომის შემდგომ პერიოდში, სიმაღლით გამორჩეული გახდა 22-სართულიანი სასტუმრო „ივერია“ (არქიტექტორი ო. კალანდარიშვილი, თანაავტორი ი. ცხომელიძე). რომლის მშენებლობა 1967 წელს დასრულდა. მისი აგება დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ იმ წლებში მიღებულ გადაწყვეტილებასთან, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში ერთი სასტუმრო მაინც უნდა ყოფილიყო გამორჩეულად მაღალი. XXI საუკუნის დასაწყისიდან, მონოლითური რკინაბეტონის ტექნოლოგიის დახვეწასთან ერთად, საქართველოში მკვეთრად იმატა სხვადასხვა დანიშნულების, მაღლივი შენობების რიცხვმა. თბილისში 100 მეტრზე მაღალი პირველი ცათამბჯენი, სასტუმრო „ბილტმორის“ შემინული კოშკის სახით, საზეიმოდ გაიხსნა 2016

წელს. 2020 წელს ცათამბჯენების რიცხვმა შვიდს მიაღწია, რაც ქალქმშენებლობის სრულიად ახალ ეტაპზე გადასვლაზე მეტყველებს. პირველ სურ-ზე მოცემულია „თბილისური ცათამბჯენების“ სქემატური გამოსახულება და საინტერესოა თითოეული მათგანის არქიტექტურულ-კონსტრუქციული დაწყვეტა.

2021 წელს დასრულდება მრავალფუნქციური კომპლექსის – „ლიანს ჰაილაინის“ მშენებლობა. პროექტს დეველოპერული კომპანია „ალიანს ჯგუფი“ ახორციელებს. იგი სამი დამოუკიდებელი (40-, 33- და 26-სართულიანი) ცათამბჯენისაგან შედგება. ყველაზე დაბალში საერთაშორისო სასტუმრო ბრენდი „ვინდემ გარდენი“, ხოლო დანარჩენ კომპლექსში პრემიუმ კლასის აპარტამენტები განთავსდება.



I კორპ.

სურ. 1. თბილისური ცათამბჯენების სქემატური გამოსახულება

„ალიანს ჰაილანის“ კომპლექსის კარკასის გაძლიერების მიზნით, სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის მონოლითური წრიული ფილების მთელ პერიმეტრზე, ერთმანეთისაგან თანაბარი დაცილებით რკინაბეტონის მრუდხაზოვანი უწყვეტი პილონებია მოწყობილი შენობის სიმაღლეზე. ამ გზით შენობებისთვის კასრის ფორმის მიცემასთან ერთად, შესაძლებელი გახდა, ფასადის მხარეს მდებარე ყველა ოთახისათვის, ძალიან მოსახერხებელი ღია აივნის მოწყობა. ყველაზე ფართო აივნებმა ადგილი შენობის შუა წელში დაიმკვიდრა, სადაც ყველაზე დიდი დიამეტრის სართულშუა გადახურვის ფილა

განთავსებული. იქიდან, საძირკვლისა და სახურავის მიმართულებით, პილონების გასწორხაზოვნებასთან ერთად თანაბრად მცირდება ფილის დიამეტრი, ცენტრალური ბირთვის დიამეტრამდე. ზუსტად ერთნაირი გადაწყვეტის მიუხედავად, სამივე შენობა განსხვავებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რაც მათი სიმაღლეების სხვაობით არის გამოწვეული. პირველი კომპლექსის სიმაღლე, თბილისში რეკორდულია და იგი 151 მეტრს შეადგენს. მასზე 25 მეტრით დაბალია მეორე კომპლექსი. ასევე 25 მეტრით დაბალია მეორესთან შედარებით მესამე კომპლექსი და მათი სიმაღლეები შესაბამისად 126 და 101 მეტრს შეადგენს (სურ. 2).



სურ. 2. „ალიანს ჰაილანის“ კომპლექსის მშენებლობა

დასრულებულ ცათამბჯენებს შორის, თბილისში, ჯერჯერობით ყველაზე მაღალია ტყუპი კოშკების საგან შემდგარი, 37-სართულიანი მრავალფუნქციური კომპლექსი „Axis Towers“, რომლის სიმაღლე 147 მეტრს შეადგენს. მისი მშენებლობა 2018 წელს დასრულდა. პროექტი მთლიანად ქართული დეველოპერული კომპანია „აქსისის“ მიერ არის განხორციელებული, რომელიც 1998 წელს დაარსდა და მრავალი ახალი შენობა შემატა თბილისს. აღნიშნული მშენებლობაც ბევრად უფრო ადრე უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სხვადასხვა სირთულის გამო, მხოლოდ 2015 წლიდან მოხერხდა მისი მშენებლობის გაგრძელება, საქართველოს თანაინვესტირების ფონდის მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ არქიტექტურული პროექტი და კონსტრუქციული გაანგარიშებები შესრულებულია ქართველი სპეციალისტების მიერ, უცხოელ პარტნიორებთან ძალიან აქტიური და საქმიანი თანამშრომლობის საფუძველზე. შენობის არქიტექტურული კონცეფცია სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება:

- ორი იდენტური ცათამბჯენი, ტყუპი კოშკი;
- კოშკების ყოველი სართული 2⁰-ით ტრიალებს ღერძის გარშემო, რაც შენობის მოძრაობის და კოშკების ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ბრუნვის ილუზიას ქმნის;
- კოშკები ერთდროულად მსგავსიგაა და განსხვავებულიც. ერთი მათგანი მოპირკეთებულია მუქი მინით, ხოლო მეორე – ბუნებრივი თეთრი ქვით. ფერების განსხვავების გარდა, ორივეს ზედაპირზე სხვადასხვანაირად და ლამაზად გამოისახება მოპირდაპირე კოშკის ანარეკლი.

უნიკალურია „აქსის თაუერსის“ კონსტრუქციული გადაწყვეტაც, რომელიც ზედხედში საათს ჩა-

მოჰგავს მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ძირითადი ბირთვითა და ციფერბლატივით განლაგებული თორმეტი მასიური პილონით. სამირკვლის მოსაწყობად გამოყენებული იყო ხიმინჯების საკმაოდ რთული სისტემა, რომელთა სიღრმე, ხშირად 30 მეტრს აღემატება და მათი საერთო სიგრძე 18 კმ-ს აჭარბებს. დიდ სიზუსტეს და განსაკუთრებულ შესრულებას მოითხოვდა მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა გადახურვის ფილების მოწყობა, რომლებიც ყველა სართულზე იცვლიდნენ მდგომარეობას. ევროპაში აღიარებული სამშენებლო-საექსპერტო ორგანიზაციების მიერ რამდენჯერმე იყო შემოწმებული კონსტრუქციული პროექტის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, ხოლო შენობების მდგრადობის დასადასტურებლად, კოშკების მოდელებმა პრალის აკადემიის გამოყენებით მეცნიერებათა ინსტიტუტში გაიარა აეროდინამიკურ მილში გამოცდა სხვადასხვა დატვირთვაზე.

ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, ტყუპი შენობა, საერთო ფართობით – 103000 მ², დამოუკიდებელ, დიდ ქალაქში მდებარე პატარა ქალაქს შეიძლება შევადაროთ საცხოვრებელი ბინებით, სასტუმროთი, რესტორნებით, კვებისა და სავაჭრო ობიექტებით, გასართობი და დასასვენებელი სივრცეებით. მის ტერიტორიაზე დღესაც აქტიურად გრძელდება ქვეითად მოსიარულეთათვის განკუთვნილი ქუჩების მოწყობა. მიწისზედა სართულების გარდა მას აქვს 4-სართულიანი 526-ადგილიანი მიწისქვეშა ავტოსადგომი. კოშკების გეგმარების თავისებურების გამო ბინები არის ძალიან ნათელი, მაღალჭერიანი, განსაკუთრებული ორიენტაციითა და ხედით. ყველა აღჭურვილია გათბობა-კონდიციონერების თანამედროვე სისტემით, რომლის მართვაც შესაძლებე-

ლია მობილური აპლიკაციებით. ბინები განთავსებულია მე-7 სართულიდან 37-ე სართულის ჩათვლით. აღსანიშნავია ასევე, რომ „აქსის თაურსს“ ემსახურება საქართველოში ყველაზე სწრაფი 22 ლიფტი (სურ. 3).



სურ. 3. „აქსის თაურსის“ ტყუპი კოშკების მშენებლობა

მნიშვნელოვანია თბილისის პირველი ნამდვილი ცათამბჯენის, სასტუმრო „ბილტმორის“ 32-სართულიანი, 138 მეტრი სიმაღლის კოშკის მშენებლობის ისტორია. ჯერ კიდევ 2007 წლის ზაფხულში თბილისის მერიის განკარგულებით, თაბუკაშვილის

ქუჩაზე 13-სართულიანი ახალაშენებული საცხოვრებელი სახლი დაანგრეს. ეს იყო ხელისუფლების მცდელობა, რომ უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად „იმელის“ შენობის უკან ტერიტორია გაეთავისუფლებინათ და მის რეკონსტრუქციასთან ერთად ქალაქის ცენტრში, 7000 მ² ტერიტორიაზე მაღალი კლასის სასტუმრო აეშენებინათ. სხვადასხვა ინვესტორთან მოლაპარაკების დროს თვით „იმელის“ შენობის დანგრევის საკითხმაც გაიჟღერა, რასაც საზოგადოების დიდი პროტესტი მოჰყვა. მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ, სასტუმრო „ბილტმორის“ აგება ევროპაში სახელგანთქმული იტალიელი არქიტექტორის, მაქსიმილიანო ფუქსასის კონცეფციის შესაბამისად გადაწყდა, რომლის კომპანიის მიერ არის დამუშავებული „თბილისის იუსტიციის სახლისა“ და „თეატრი რიყეზე“ პროექტები. აღნიშნული კონცეფცია ითვალისწინებდა 1938 წელს აგებული სოციალისტური კლასიციზმის ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული ნიმუშის, „მარქსიზმ-ლენინიზმის“ ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შენობის შენარჩუნებას და მის დაკავშირებას 32-სართულიან ულტრათანამედროვე შენობასთან, რომელიც იმავე ეზოში აიგებოდა. პროექტის დაფინანსება და შესრულება 2012 წელს დაიწყო არაბთა გაერთიანებული საამიროების „დაბი ჯგუფის“ მიერ, რომელსაც ამ სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდა და 4 წელიწადში დაასრულა საქართველოში პირველი 7-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობა. მის ერთ ნაწილს წარმოადგენს ბოლნისის ტუფით მოპირკეთებული კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლი, ხოლო მეორეს – მონოლითური რკინაბეტონის კარკასით აგებული და შემდეგ მთლიანად შემინული კოშკი. ძველ, მჭიდროდ განაშენიანე-

ბულ უბანში თბილისისთვის არნახული სიმაღლის შენობის აგებამ მწვავე კრიტიკა დაიმსახურა, რაც დღესაც აქტიური განხილვის საგანია. ერთ-ერთი ქართველი არქიტექტორის სიტყვებით „იმელის უკან აგებული ვერტიკალი, ყველაზე კარგი მაგალითია,

თუ როგორი პროექტი არ უნდა განხორციელდეს თბილისში“. მიუხედავად ამისა, სასტუმრო გახსნის დღიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს და მასში სხვადასხვა კლასის 214 ნომერია (სურ. 4).



სურ. 4. სასტუმრო „ბილტმორის“ გათამბჯენი

2018 წელს დასრულდა მრავალფუნქციური კომპლექსის – „კინგ დევიდის“ (King David) მშენებლობა. პროექტის კონცეფცია, რომელზეც ქართველმა და გერმანელმა არქიტექტორებმა ერთობლივად იმუშავეს, ემსახურებოდა თბილისში მსოფლიო დონის მრავალფუნქციური საცხოვრებელი და ბიზნესცენტრის ტიპის კომპლექსის აგებას. პირამიდის ფორმის, პირველ ექვს სართულზე გაერთიანებული ორი კოშკიდან ერთი 31-სართულიანი, 115 მეტრი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსია. მეორე კი –


19-სართულიანი ბიზნესცენტრი. ავსტრიული ინვესტიციებით განხორციელებულ პროექტში განსაკუთრებული ადგილი აქვს გამოყოფილი სარეკრეაციო-გასართობ ზონას და 5-ვარსკვლავიან რესტორანს. მთის ბორცვზე, შენობის უნიკალური ადგილმდებარეობის გამო, მშენებლობის დაწყებამდე ჩატარდა გრუნტის ფართომასშტაბიანი გეოლოგიური და გეოფიზიკური გამოკვლევები უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობით. შედეგად დადგინდა, რომ საძირკვლის ძირის საპროექტო ნიშნულს შე-

ესაბამება მე-7 კატეგორიის კლდოვანი ქანი – არგელიტი და ფუძე-გრუნტი გამაგრების დამატებითი ღონისძიებების გატარებას არ მოითხოვს. ქართველი კონსტრუქტორების მიერ დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად მოეწყო საპირკვლის 180 სმ სიმაღლის ერთიანი მონოლითური რკინაბეტონის ფილა. არქიტექტურული გადაწყვეტიდან გამომდინარე, შენობების განაპირა გვერდებისათვის სათანადო დახრის მისანიჭებლად, ამ ადგილებში, მთელ სიმაღლეზე აღიმართა დახრილი რკინაბეტონის სვეტები, რაც დაპროექტების თვალსაზრისით, იშვიათ შემთხვევად უნდა ჩაითვალოს. მშენებლობისას გამოყენებულია უმაღლესი ხარისხის სამშენებლო მასალები და ინოვაციური ტექნოლოგიები. მშენებლობის ყველა ეტაპზე მუდმივად მიმდინარეობდა კონსტრუქციების, ბეტონისა და სამშენებლო მასალების შემოწმება. შემოწმებას ახორციელებდა „SGS“, რომელიც ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა მსოფლიოში ექსპერტიზის, გამოცდების და სერტიფიცირების სფეროში. რკინაბეტონის კონსტრუქციების განმეორებითი შემოწმება ჩატარდა ბრიტანული კომპანია „ESG“-ს მიერ, რომელიც ასევე მოწინავე კომპანიაა მსოფლიოში კონტროლის, ტესტირების და ინფრასტრუქტურული გადაწყვეტილებების დარგში. კომპლექსი უზრუნველყოფილია ალტერნატიული უწყვეტი ელექტრო- და წყალმომარაგების სისტემებით. აღჭურვილია ცენტრალური გათბობის, ვენტილაციის და კონდიციონირების ყველაზე თანამედროვე და ბრენდული სისტემებით. შენობებს ემსახურება „Kleemann“-ის ბრენდის 6 ლიფტი.

ფასადის პროექტი შემუშავებულია გერმანული კომპანია „Schüco“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ და მათივე ზედამხედველობით შესრულდა სამონტაჟო სამუშაოები. ფასადის კონსტრუქციას ჩაუტარდა შესაბამისი ტესტირება ჰაერგამტარიანობაზე, წვიმის დროს იზოლაციაზე, ქარის დატვირთვასა და მიწისძვრაზე. ტესტირებით დადგინდა, რომ კონსტრუქცია შეესაბამება ყველა საერთაშორისო ნორმას. ფასადზე გამოყენებულია ცნობილი ამერიკული კომპანია „Guardian“-ის ტრიბლექსის ტიპის მინა-პაკეტი, რაც 30%-ით უფრო ენერგოეფექტურს ხდის ფასადს.

კომპლექსმა, როგორც ერთ-ერთმა ყველაზე ხარისხიანმა, კომფორტულმა და უსაფრთხო ნაგებობამ, უნიკალური ხედიით და საცხოვრებელი სახლისა და ბიზნესცენტრის წარმატებული ფუნქციონირებისათვის შექმნილი ყველა პირობით, გასულ წელს მსოფლიოს პრესტიჟულ დაჯილდოებაზე საქართველოში საუკეთესო მრავალფუნქციური კომპლექსის სტატუსი მოიპოვა.

2018 წელს დასრულდა თბილისში, პრემიუმ კლასის, პირველი საცხოვრებელი სახლის – ცათამბჯენის „თბილისი გარდენის“ მშენებლობა, რომელიც საერთაშორისო კომპანია „MYS Architects“-ის (ისრაელი) მიერაა დაპროექტებული და მისივე ზედამხედველობით ხორციელდებოდა მშენებლობის პროცესი. 108 მეტრი სიმაღლის, 29-სართულიანი სახლის მშენებლობა მიმდინარეობდა ნიუ-იორკული სტანდარტების დაცვითა და ამერიკული ინტერიერის დიზაინით.



სურ. 5. მრავალფუნქციური კომპლექსი „კინგ დევიდი“

შენობის კონფიგურაცია, რომელიც დაახლოებით არასწორხაზოვანი, ტოლგვერდა სამკუთხედის ფორმისაა და რკინაბეტონის მონოლითური, კარკასული შენობის სტრუქტურა ისეა გადაწყვეტილი, რომ სვეტების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი. შესაბამისი მოყვანილობის სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის ფილები, მთელი შენობის სიმაღლეზე ერთმანეთზე კარგად დაწყობილი დისკოების შთაბეჭდილებას ტოვებს. იმის გამო, რომ ვერტიკალური კონსტრუქციული, საყრდენი ელემენტები ზედმეტ ადგილს არ იკავებდეს, ძალიან გამარტივებული იყო სართულებზე ბინების განლაგების ცვლილება და მრავალფეროვანი დიზაინერული გადაწყვეტილებების მიღება. გარე კარ-ფანჯრებისათვის და ფასადის გასაწყობად, მეტი სიმყარის მიზნით გამოყენებული იყო ყველა სეზონისათვის

გათვლილი ალუმინის პროფილები. ხმის სრული იზოლაცია სართულებსა და ოთახებს შორის სპეციალური შრეებით არის უზრუნველყოფილი. ყველა გარე კედელი დაცულია ენერგოეფექტური მასალით კონდენსატის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად. ფანჯრების მინაც ენერგოეფექტური მასალისაა, რაც ენერჯის დაკარგვის გარეშე სინათლით ავსებს ოთახებს. თბოდანაკარგების შესამცირებლად შენობის ყველა ფასადი და სახურავი დაფარულია თბოსაიზოლაციო მასალით. ყველა სანათზე გამოყენებულია LED ნათურები, ელექტროენერჯის ხარჯის შესამცირებლად. საერთო სივრცეები აღჭურვილია სპრინკლერების სახანძრო სისტემით და შენობა სრულად აკმაყოფილებს ამერიკულ სახანძრო ნორმებს. შენობა ასევე სრულად შეესაბამება საერთაშორისო ევროპულ სეისმომდეგობის ნორმებს (ევ-

როკოდი-8). აღსანიშნავია, რომ მოხერხებულობისთვის ყველა სართულზე გამოყოფილია ბოილერებისა და ჰაერის კონდიციონერების სისტემების სპეციალური ადგილები, რომ არ მოხდეს ბინების ღია აივნების გამოყენება. უსაფრთხოების თვალსაზრისით, ბინე-

ბიდან ასევე გატანილია საკომუნიკაციო შახტები. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სავენტილაციო სისტემით აღჭურვილი დახურული ავტოსადგომი გათვლილია თითო ბინიდან მინიმუმ ორი ავტომანქანის გასაჩერებლად (სურ. 6).



სურ. 6. „თბილისი გარდენი“

დასკვნა

1. თბილისის ქალაქთმშენებლობაში, სრულიად ახალ ეტაპად უნდა ჩაითვალოს 100 მეტრზე მაღალი ცათამბჯენების მშენებლობა, რომელიც სულ 4 წელია დაიწყო და საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. ამასთან ერთად აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თითოეული ასეთი ცათამბჯენის მშენებლობის საკითხი აუცილებლად უნდა გახდეს ფართო საჯარო განხილვის საგანი, რომ არ მოხდეს დედაქალაქში წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული განაშენიანების პრინციპების დარღვევა;

2. მისასალმებელია, რომ ყველა ცათამბჯენი, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში აშენდა თბილისში, გამორჩეულია თავისი არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტით. მათი უმრავლესობა კარგად შეერწყა არსებულ გარემოს. სამწუხაროდ, გამონაკლისია ყველაზე პირველი, 2016 წელს აშენებული ცათამბჯენი, სასტუმრო „ბილტმორის“ 32-სართულიანი კოშკი, რომელიც დღემდე რჩება, როგორც სპეციალისტების ასევე ფართო საზოგადოების მწვავე კრიტიკის ობიექტად.

ლიტერატურა

1. I. Kvaraia. Innovative technologies in construction. Georgian Technical University. Tbilisi. 2020. (In Georgian);
2. P. Ivanova, M. Grigoryan. Modern trends in the design and construction of high-rise buildings. Don's Engineering Bulletin. No. 1. 2019. (In Russian);
3. I. Kvaraia. Modern technologies of construction production. Technical University. Tbilisi. 2018. (In Georgian);
4. D. Grankina, N. Ivanov, V. Konyakhin. Modern design solutions for high-rise buildings on the example of the construction of the Lakhta Center. Don's Engineering Bulletin. No. 4. 2018. (In Russian);
5. M. Abuladze. Conversion or Aggression - an example of uncontrollable development of Tbilisi Urban Environment. Scientific and Technical Magazine. Modern problems of Architecture and Town Planning. Tbilisi. N7. 2017 (In Georgian);
6. T. Mikiashvili. Impact of Architecture on Environment. Scientific and Technical Magazine. Modern problems of Architecture and Town Planning. Tbilisi. N7. 2017. (In Georgian);
7. K. Berekashvili, M. Maisuradze. The new projects forming in the historical center of Tbilisi. Scientific and Technical Magazine. Modern problems of Architecture and Town Planning. Tbilisi. N6. 2016. (In Georgian);
8. D. Vorobrus, R. Abakumov. Feasibility of the construction of skyscrapers and the peculiarities of their construction. International scientific journal "Innovative Science" N 11-3 / 2016. (In Russian);
9. K. Kayani. Design of high-rise buildings: past, present and future. Australasian Conference on the Mechanics of Structures and Materials. Volume 1. 2014. (In English);
10. K. Berekashvili. The new creations in urban space of old Tbilisi. Scientific and Technical Magazine. Modern problems of Architecture and Town Planning. Tbilisi. N3. 2013. (In Georgian);
11. T. Maklakova. High-rise buildings. Publishing house of the association of building universities. Samara . 2009. (In Russian).

UDC 693/694

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-232-244>

Construction of Tbilisi Skyscrapers

Irakli Kvaraaia Department of Civil and Industrial Engineering and Building Materials, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str.

E-mail: irakvara@yahoo.com

Liana Giorgobiani Department of Architecture Basics and Theory, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 68^b M. Kostava str.

E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Reviewers:

R. Zhgenti, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: rjghenti@yahoo.com

D. Tabatadze, Professor, Faculty of Construction, GTU

E-mail: demuritabatadze@yahoo.com

Abstract. The first tall building was built in 1938 in Tbilisi. This is the famous "11-storey house" on Heroes' Square. Until the end of the XX century, the tallest building in Tbilisi was the 22-storey hotel "Iveria". It was built in 1967, according to the decision by the former Soviet government that there should be at least one tall building in every capital of the Soviet republics. From the beginning of this century, Georgia completely switched to the construction of monolithic reinforced concrete and the number of high-rise buildings immediately increased both in Tbilisi and throughout the country. The first real skyscraper with a height of more than 100 meters was built in 2016 in Tbilisi. It was the 138-foot tower of Hotel Biltmore. After that, six more skyscrapers were built, which should be considered as the beginning of a new phase of Tbilisi urban planning.

Key words: building; core; construction; frame; metal; pillar; pylon; reinforced concrete; skyscraper; tower.

UDC 693/694

SCOPUS CODE 2215

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-232-244>

Строительство Тбилисских небоскребов

- Иракли Кварая** Департамент технологий гражданского и промышленного строительства и строительных материалов, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава 68^б
E-mail: irakvara@yahoo.com
- Лиана Гиоргобиани** Департамент архитектуры и теории, Грузинский технический университет, Грузия, 0160, Тбилиси, ул. М. Костава, 68^а
E-mail: lika.giorgobiani@gmail.com

Рецензенты:

- Р. Жгенти**, профессор строительного факультета ГТУ
E-mail: rjghenti@yahoo.com
- Д. Табатадзе**, профессор строительного факультета ГТУ
E-mail: demuritabatadze@yahoo.com

Аннотация. В Тбилиси первое высотное здание было построено в 1938 году. Это знаменитый «11-этажный дом» на площади Героев. До конца XX века самым высоким зданием Тбилиси была 22-этажная гостиница «Иверия». Она была построена в 1967 году благодаря решению бывшего советского правительства, согласно которому в каждой столице советских республик должно было быть хотя бы одно высотное здание. С начала этого века Грузия полностью перешла на строительство из монолитного железобетона и количество высотных домов сразу увеличилось как в Тбилиси, так и по всей стране. Первый настоящий небоскреб высотой более 100 метров был построен в Тбилиси в 2016 году. Это была башня отеля «Билтмор», высотой более 138 метров. После этого были построены еще шесть небоскребов, что следует рассматривать как начало нового этапа градостроительства Тбилиси.

Ключевые слова: башня; железобетон; здание; каркас; металл; небоскреб; пилон; сердечник; столб; строительство.

განხილვის თარიღი 13.10.2020

შემოსვლის თარიღი 11.11.2020

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.03.2021

UDC 347.77

SCOPUS CODE 3308

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2021-1-245-258>

სავალდებულო ლიცენზირების ასპექტები საპატენტო სამართალში

მირანდა გურგენიძე კერძო სამართლის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: mirgurgenidze@gmail.com

თამაზ ურთმელიძე კერძო სამართლის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77

E-mail: t.urtmelidze@gmail.com

რეცენზენტები:

ი. გაბისონია, სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სამართლის დოქტორი

E-mail: irakli.gabisonia@mail.ru

ა. მოსულიშვილი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი

E-mail: a.mosulishvili@gruni.edu.ge

ანოტაცია. სავალდებულო ლიცენზირების საკითხი საერთაშორისო საპატენტო სამართალში ახალი არაა, თუმცა ქართულ კანონმდებლობაში 2010-2017 წლებში აღნიშნული ინსტიტუტი გაუქმებული იყო და მისი ახლებური სახით ჩამოყალიბება აქტიური გახდა მას შემდეგ, რაც დღის წესრიგში დადგა საქართველოსა და ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარის მე-9 თავით (ინტელექტუალური საკუთრების უფლებები) გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად, აღებული ვალდებულების

შესრულების აუცილებლობა და საქართველოს კანონმდებლობის ზემოაღნიშნულ შეთანხმებასთან, ასევე, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS) შეთანხმებასა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

წინამდებარე სტატიაში ავტორების მიერ შესწავლილია სავალდებულო ლიცენზირების საკითხები ქართულ საპატენტო სამართალში, ასევე განხილულია ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება სავალდებულო ლიცენზირების თემატიკას.

სტატია შედეგება შესავლის, ორი თავისა და დასკვნისგან. შესავალში მიმოხილულია პატენტის მფლობელის განსაკუთრებული უფლებებისა და ამ უფლებების შეზღუდვის საფუძვლების შესახებ.

პირველ ნაწილში მოცემულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიზი, სადაც ვხვდებით პატენტების არანებაყოფლობით / იძულებითი ლიცენზირების მარეგულირებელ ნორმებს.

მეორე ნაწილში ავტორების მიერ მსჯელობა გაშლილია უშუალოდ საქართველოს საპატენტო სისტემაში მოქმედ სავალდებულო ლიცენზირების საკითხების ირგვლივ. აღნიშნული პრობლემა მეტად აქტუალური, საინტერესო და ნოვატორულია იურიდიული თვალსაზრისით, რადგან სავალდებულო ლიცენზირების საკითხთან ერთად, აქტიურდება პატენტმფლობელისთვის კომპენსაციის გაცემის წესი, რაც თავისთავად დაკავშირებულია მის ქონებრივ უფლებებთან და ბოლოს დასკვნაში შეჯერებული და რეზიუმირებულია სავალდებულო ლიცენზიის ის ძირითადი მიმართულებები, რასაც ვხვდებით საერთაშორისო საპატენტო და ეროვნულ სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: კომპენსაცია სავალდებულო ლიცენზირებისას; სავალდებულო ლიცენზირება; საპატენტო სამართალი.

შესავალი

საქართველო საუკუნეების განმავლობაში იმყოფებოდა ჯერ ცარიზმის, შემდეგ კი საბჭოთა რუსეთის მმართველობის ქვეშ და შესაბამისად ქვეყანაში

მოქმედებდა რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებული საპატენტო სამართალური თეორია. მოგვიანებით კი რევოლუციით მეფის ხელისუფლების შეცვლამ და კერძო საკუთრების უფლებებელყოფამ განაპირობა ისეთი ჰიბრიდული საპატენტო სისტემის შემოღება, რომელმაც მართალია, გამოგონებაზე არაქონებრივი უფლებები დაუტოვა გამომგონებელს, თუმცა ქონებრივი უფლებები სრულად გადასცა სახელმწიფოს. რაც, რასაკვირველია, ეწინააღმდეგებოდა გამომგონებლის (რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად იქმნება გამოგონება) განსაკუთრებულ უფლებებს.

დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან, საქართველომ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ეროვნული სისტემის შექმნა, რაც აისახა კიდევ ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის საკანონმდებლო აქტებში. აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან, რომელმაც 1992 წელს ჩამოაყალიბა ეროვნული საპატენტო უწყება. დროთა განმავლობაში საპატენტის უფლებამოსილებებს შორის, მთლიანად იქნა კონსოლიდირებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა ობიექტი: გამოგონებები, სასაქონლო ნიშნები, დიზაინები, ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები, ასევე, საავტორო და მომიჯნავე უფლებები [17, 18].

დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით აღიარებულია ინტელექტუალური საკუთრების უფლება, რომლის დაცვა ორ ფუნდამენტურ დებულებას აერთიანებს: 1. ინტელექტუალური საკუთრების ავტორები იძენენ უფლებებს თავიანთი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედე-

გად და 2. შესაძლებელია მათ შექმნილ ნაწარმოებზე მოპოვებული უფლებების გასხვისება ან ლიცენზიით გადაცემა სხვა პირებზე.

აღსანიშნავია, რომ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ერთ-ერთი უძველესი ფორმა პატენტი. პატენტით დაცვა ახდენს არა მხოლოდ გამოგონების შექმნის დაფასებას, არამედ, ასევე, გამოგონების იმ დონემდე განვითარებას უწყობს ხელს, რომ ის ტექნოლოგიურად გამოყენებადი და რეალიზებადი გახდება. ეს მასტიმულირებელი ფაქტორი ახდენს შემოქმედებითი შრომის წახალისებას და კომპანიების დამატებით ხელშეწყობას, რათა მათ გააგრძელონ ახალი ტექნოლოგიების განვითარება იმ ეტაპამდე, რომელზეც ის რეალიზებადი, საზოგადოებისთვის გამოსადეგი და კეთილდღეობისთვის სასურველი გახდება (8,3).

საქართველოს „საპატენტო კანონით“ პატენტი განმარტებულია, როგორც: „პატენტის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს“ (საპატენტო კანონის მე-2 მუხლის „ვ“ პუნქტი). ამავე კანონის თანახმად: „გამომგონებელი არის ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალური შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება“.

გაცემული პატენტის მოქმედება იმით გამოიხატება, რომ ქვეყანაში დაპატენტებული გამოგონება არ შეიძლება გამოიყენოს იმ პირმა, რომელიც არ არის პატენტმფლობელი, თუ თავად პატენტმფლობელი არ იქნება თანახმა ასეთ გამოყენებაზე. როცა მფლობელი არ იყენებს პატენტიდან გამომდინარე უფლებებს, მას მაინც ენიჭება უფლება ხელი შეუშალოს სხვებს თავისი გამოგონების გამოყენებაში. რაც

ხშირად ფორმულირებულია, როგორც უფლება, აუკრძალოს სხვა პირს თავისი გამოგონების წარმოების, გამოყენების ან გაყიდვის შესაძლებლობა. ნებისმიერი პირის წინააღმდეგ, რომელიც პატენტმფლობელის თანხმობის გარეშე გამოიყენებს ქვეყანაში დაპატენტებულ გამოგონებას, სასამართლოში საქმის აღძვრის უფლება პატენტმფლობელის ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, მიიღოს მატერიალური სარგებელი, როგორც გასამრჯელო ინტელექტუალური ძალისხმევისა და შრომისათვის, და როგორც იმ ხარჯების კომპენსაცია, რომელიც მან გაიღო გამოკვლევებისა და ექსპერიმენტების პროცესში, რამაც იგი გამოგონებამდე მიიყვანა [10,195-196].

მიჩნეულია, რომ პატენტს თავისი ბუნებით აქვს: დაპატენტებული ობიექტის გამოყენების განსაკუთრებული (მონოპოლიური) უფლების მინიჭების ფუნქცია. ამ უფლების მთავარი შინაარსია ის, რომ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც გაიცა პატენტი პატენტმფლობელის ნებართვის გარეშე არავის შეეძლოს პატენტით დაცული ობიექტის გამოყენება [11, 38].

აღნიშნული მიდგომა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ პატენტმფლობელის უფლება არ შეიძლება შეიზღუდოს. პატენტიდან გამომდინარე პატენტმფლობელის უფლებების მონოპოლიური ხასიათის მიუხედავად, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით საპატენტო კანონმდებლობა ასრულებს სამართლისთვის დამახასიათებელ რეგულაციურ ფუნქციას და აწესებს პატენტმფლობელის უფლებების შემზღვეველ ნორმებს [11, 126-127].

საპატენტო სისტემების უმრავლესობა პატენტ-მფლობელისაგან მოითხოვს, მაგალითად, მისი გამოგონების გამოყენებას მის მიერვე ან მის გამოყენებაზე ლიცენზიის გაცემას სხვა პირთათვის, თუ მას სურს თავისი მონოპოლიის შენარჩუნება. თუ, მაგალითად, შეიძლება იმის დამტკიცება, რომ დაპატენტებული გამოგონება არ არის ან არასაკმარისად არის გამოყენებული ქვეყანაში, მესამე პირზე გაიცემა არანებაყოფლობითი (იძულებითი) ლიცენზია. დაპატენტებული გამოგონება შეიძლება ხშირად გამოიყენოს მთავრობამ ან მთავრობის მიერ უფლებამოსილმა მესამე პირმა, თუ ამას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესები, შეთანხმებული ან სასამართლო ინსტანციებით დადგენილი პერიოდის განმავლობაში. [10, 216].

ძირითადი ნაწილი

1. სავალდებულო ლიცენზირების საფუძვლები საერთაშორისო ხელშეკრულებებში

ინტელექტუალური შემოქმედებისა და მისგან გამომდინარე სიკეთით სარგებლობის უფლება წარმოადგენს კულტურულ უფლებათა კატეგორიას. არაერთი საერთაშორისო კონვენცია აღიარებს, რომ სახელმწიფოს პირველ ყოვლისა ევალება პატივი სცეს თითოეული ადამიანის თავისუფლებას, მოძიოს და მიიღოს ინფორმაცია მეცნიერების სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ და გამოიყენოს ახალი მეცნიერული მიღწევების შედეგები, ასევე პატივი სცეს მათ უფლებას ისარგებლონ ამ პროგრესით [13, 345].

სახელმწიფო ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კუთხით ქმნის ეროვნულ კანონმდებლობას

და უერთდება ინტელექტუალური საკუთრების მარეგულირებელ რეგიონულ ან/და საერთაშორისო შეთანხმებებს შემდეგი მიზეზების გამო:

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის დაცვით ხელი შეუწყოს ადამიანის შემოქმედებითი საქმიანობის სხვადასხვა ფორმის განვითარებას;
- შემოქმედებით ადამიანს მიანიჭოს ოფიციალური აღიარება;
- შექმნას საჭირო საინფორმაციო ბაზები;
- შეთანხმებებით, რომლებიც უზრუნველყოფს მრავალმხრივ დაცვას, ხელი შეუწყოს ადგილობრივი კულტურის, მრეწველობის, ასევე, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდასა და განვითარებას. [9, 8].

აღსანიშნავია, რომ საქართველო მიერთებულია არაერთ საერთაშორისო ხელშეკრულებას, კონვენციას თუ შეთანხმებას, სადაც საუბარია „იძულებითი ლიცენზირების“ რეგულაციებზე (მაგ: პარიზის კონვენცია სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ; ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება TRIPS).

იმ ქვეყნებში, რომლებშიც გათვალისწინებულია არანებაყოფლობითი ლიცენზირების გაცემა, ასეთი ლიცენზიები, როგორც წესი, იყოფა ორ კატეგორიად: პატენტზე უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში, ზოგი ქვეყანა ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიის გაცემას ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რაც შეიძლება წარმოიშვას პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებების გამოყენების შედეგად. პარიზის კონვენციის 5A(2) მუხლის თანახმად *გამოგონების გამოყენებლობა წარმოადგენს ბოროტად გამოყენე-*

ბის ასეთ მაგალითს. საზოგადოებრიობის ინტერესებიდან გამომდინარე, არაერთი ქვეყანა ითვალისწინებს არანებაყოფლობითი ლიცენზიების გაცემას, თუ იგი საჭიროა საზოგადოების კეთილდღეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის, უშიშროებისა და ეკონომიკის განვითარების ჩათვლით [10, 233-234].

როგორც აღნიშნა, დადგენილი საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად იძულებითი/სავალდებულო ლიცენზირება ორ ძირითად შემთხვევაში ხორციელდება: 1. პატენტზე უფლების ბოროტად გამოყენებისას და 2. საზოგადოებრივი აუცილებლობიდან / საჭიროებებიდან გამომდინარე.

1883 წლის 20 მარტის სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციაში მითითებულია, რომ: „კავშირის თითოეულ ქვეყანას უფლება აქვს მიიღოს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ითვალისწინებს იძულებითი ლიცენზიების გაცემას პატენტით მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით ბოროტად სარგებლობის აღსაკვეთად, მაგალითად, პატენტის გამოყენებლობის შემთხვევაში“ [3, 11].

ამასთანავე, მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რას წარმოადგენს „ბოროტად გამოყენება“, რომლის განმახორციელებელი სუბიექტი, რასაკვირველია პატენტის მფლობელი გვევლინება პარიზის კონვენციის 5A(2) მუხლის თანახმად, თავად გამოგონების გამოყენებლობაა მოქცეული პატენტის „ბოროტად

გამოყენების“ ცნებაში. უფრო ვიწროდ რომ შევხედოთ პრობლემას, აღნიშნული მოვლენის დეფინიცია და ფარგლები ეროვნული კანონმდებლობის დასადგენია¹. ამასთანავე, სამართლებრივი თვალსაზრისით, ყურადღებამისაქცევია ის გარემოება, რომ პატენტების გამოყენება შესაძლოა დაკავშირებული იყოს პატენტის მფლობელსა და ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან არასავალდებულო, ნებაყოფლობითი სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმებასთან.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალში დომინირებს მოსაზრება, რომ ქვეყანაში, სადაც არსებობს ასეთი ნორმები, ამ ლიცენზიებს იშვიათად იყენებენ და, კიდევ უფრო იშვიათად გასცემენ, მათ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. მეორე, ასეთი ნორმები, იშვიათადაც რომ გამოიყენებოდეს, უზრუნველყოფენ სამართლებრივ შესაძლებლობას, რომელიც სტიმულს აძლევს პატენტმფლობელს ხელშეკრულება დადოს ნებაყოფლობითი ლიცენზირების თაობაზე. თუმცა, თანამშრომლობის ატმოსფერო, რომელიც, ჩვეულებრივ, სუფევს ნებაყოფლობითი ლიცენზირების შემთხვევაში, უფრო ეფექტურია, ვიდრე ძალდატანება, რომელიც ახლავს ტექნოლოგიის სრულ და გახანგრძლივებულ გადაცემას იძულებითი ლიცენზირების დროს (10, 237-238).

¹აღსანიშნავია, რომ ჩვენი ეროვნული კანონმდებლობა სავალდებულო ლიცენზირების თემატიკას ავითარებს მეტწილად იმ მიმართულებით, რომ სავალდებულო ლიცენზია შესაძლებელია გაიცეს ერთ-ერთ იმ შემთხვევაში, თუ: ა) აუცილებელია პატენტის გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის, თავდაცვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დროს. ამასთან, ტერმინის „ბოროტად გამოყენება“ ადგილი არ აქვს, თუმცა თავისი არსიდან გამომდინარე, აღნიშნული მექანიზმების არსებობა ხელს უწყობს საქართველოში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის გარანტიების უზრუნველყოფას და პატენტზე უფლებების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთას.

პარიზის კონვენციის 5A(2) მუხლში საგანგებოდ არის დათქმული, რომ პარიზის კავშირის წევრებს შეუძლიათ გაითვალისწინონ იძულებითი ლიცენზიების გაცემა, რათა აღიკვეთოს ბოროტად გამოყენება, რომელიც წარმოიშობა პატენტებზე უფლებების განხორციელების შედეგად, გამოგონების გამოუყენებლობის ჩათვლით. 5(4) მუხლი ითვალისწინებს, რომ გამოგონების გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების მიზეზით იძულებითი ლიცენზიების მოთხოვნა არ შეიძლება გამოგონების გამოუყენებლობის ან არასაკმარისი გამოყენების განსაზღვრული ვადის გასვლამდე. ეს ვადა არის ოთხი წელიწადი პატენტზე განაცხადის შეტანის თარიღიდან ან სამი წელი გამოგონებაზე პატენტის გაცემის თარიღიდან. გამოსაყენებელ ვადად მიიჩნევა ის, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უფრო გვიან გადის. [10,238]

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება TRIPS ერთგვარი გარანტიაა იმისა, რომ იძულებითი ლიცენზირება სახელმწიფომ არ განახორციელოს არაკეთილსინდისიერად და არ შეილახოს პატენტის მფლობელის ქონებრივი უფლებები [16,140-142].

პირველი, რასაც აღნიშნული შეთანხმება ადგენს

პატენტების იძულებით ლიცენზირებასთან დაკავშირებით, გახლავთ შემდეგი:

- გამოყენების უფლებამოსილების გაცემისას უნდა შეფასდეს პატენტის კერძო ავკარგიანობა;
- გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამოყენებამდე სავარაუდო მომხმარებელი შეეცადა მიეღო უფლებამოსილება უფლების მფლობელისაგან გონივრული კომერციული ვადით და პირობებით და, თუ ასეთი მცდელობა არ დასრულდა წარმატებულად გონივრულ ვადაში¹.
- გამოყენების ფარგლები და ხანგრძლივობა შემოიფარგლება იმ მიზნიდან გამომდინარე, რომლისათვისაც გამოყენების ნებართვა გაიცა.
- ასეთი გამოყენებისათვის გაცემული ნებართვა უნდა ექვემდებარებოდეს შეწყვეტას იმ შემთხვევებში, როდესაც გარემოებები, რამაც გამოიწვია ნებართვის გაცემა, აღარ არსებობს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ხელახლა წარმოიქმნას, ამასთანავე, გასათვალისწინებელია იმ პირთა კანონიერი ინტერესების თანაბარწილოვანი დაცვა, რომლებსაც მიეცათ აღნიშნული ნებართვა.
- უფლებამოსილ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება გადახედოს ასეთი გარემოებების უწყვეტ არსებობას, საბუთებელი მოთხოვნის შემთხვევაში;

¹ აღსანიშნავია, რომ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ უარყონ ეს მოთხოვნა ეროვნული უსაფრთხოების ან გადაუდებელი აუცილებლობის ღონისძიებების გატარებისათვის სხვა გარემოებების წარმოქმნის ან საჯარო არაკომერციული გამოყენების შემთხვევებში. ეროვნული უსაფრთხოების ან გადაუდებელი აუცილებლობის ღონისძიებების გატარების აუცილებლობის ვითარების არსებობის მიუხედავად უფლების მფლობელი უნდა იყოს ჩაყენებული საქმის კურსში იმდენად სწრაფად, რამდენადაც ეს გონივრულად პრაქტიკული იქნება. საჯარო არაკომერციული გამოყენების შემთხვევაში თუ მთავრობამ ან კონტრაქტორმა, საპატენტო ძიების ჩატარების გარეშე იციან ან აქვთ ამკარა საფუძვლები იცოდნენ, რომ მოქმედი პატენტი გამოიყენება ან იქნება გამოყენებული მთავრობის მიერ ან მთავრობის ინტერესებისათვის, უფლების მფლობელი უნდა იყოს ინფორმირებული დაუყოვნებლივ. (http://www.sakpatenti.gov.ge/media/page_files/trips_ge.pdf)

ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება TRIPS-ით აგრეთვე გათვალისწინებულია:

- შესატყვისი გასამრჯელოს მიცემა უფლებების მფლობელისთვის (ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ნებართვის ეკონომიკური ღირებულება);

- ასეთ გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების სასამართლო ან სახელმწიფოს უმაღლესი დონის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადახედვის შესაძლებლობა;

- შესატყვისი გასამრჯელოს მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების სასამართლო ან სახელმწიფოს უმაღლესი დონის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადახედვის შესაძლებლობა.

ვფიქრობთ, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმება TRIPS-ში განსაზღვრული ნორმები სავალდებულო ლიცენზირებასთან დაკავშირებით არის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების სახელმძღვანელო, რომელიც პრინციპების დონეზე არეგულირებს სავალდებულო ლიცენზირებასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა ამ პროცედურების დეტალიზება ცალსახად ეროვნული კანონმდებლობით უნდა განხორციელდეს.

2. სავალდებულო ლიცენზირების საფუძვლები ეროვნულ კანონმდებლობაში

ქართულ საპატენტო სისტემაში რამდენჯერმე შეიცვალა მიდგომები სავალდებულო ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო საპატენტო კანონმდებლობაში არაერთი ცვლილებით. მიუხედავად იმისა, რომ საპატენტო

